ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

სამშაბათი, 3 ნოემბერი, 2020 | №229 (8493) | ფასი: 60 თეთრი

## გიორგი რურუას ციხეში პატიმრებმა სცემეს



გვ.5

# თაკო ჩარკვიანი: „ამ მანდატებს თავზე გადავახევთ რუს ოლიგარქს“



გვ.2

## სერგო რატიანი: „ივანიშვილს ახლაც დავათმობინებთ!“



## „ოცნება“ პარლამენტში 90 დეპუტატზე მეტს ვერ შეიყვანს



გვ.2

## „ეს არ არის პარლამენტი და ჩვენ იქ არაფერი გვესაქმება“



გვ.2

ოპოზიციამ პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა

## „ვარდების რევოლუცია“ ერთხელ იყო და მეორეჯერ აღარ მოხდება!

თორნიკე შარაშენიძე: „არაფერია მუდმივი და არც „ქართული ოცნება“ იქნება მუდმივი. თუ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს ნორმალურად, უნდათ თუ არ უნდათ, ეს ხელისუფლება უნდა დაამარცხონ არჩევნებზე და ეცადონ, მომავალ არჩევნებზე ისეთი სისულელეები არ ჩაიდინონ, როგორიც ამ არჩევნებზე ჩაიდინეს“



გვ.3

## „ოპოზიცია ამ არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ვერანაირი ვაჭრობა ვერ იქნება! ყველა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ ივანიშვილთან თანამშრომლობას არავინ აპირებს“



გვ.3

## სოსო შატბერაშვილი: „რიგგარეშე არჩევნები არარეალურია“



გვ.4

„უნდა მოხდეს ხმების ხელახალი დათვლა იმ უბნებზე, სადაც დარღვევები იყო“

## გიორგი გახარიას და ნათია მეზვრიშვილს კოვიდ 19 დაუდასტურდათ



გვ.2

## პეტრე მამრაძე: „ოცნებას“ ნერვებმა არ უნდა უმტყუნოს“

„როცა კლოუნური პარტია იღებს დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც ის პარტია, რომელიც თავის თავს სერიოზულად მიიჩნევს, მათთვის ეს მიუღებელია“



გვ.4

ISSN 1987-9385

5 „ყველაფერი მოულოდნელად მოხდა“ სროლა ბათუმში

5 იტალიაში ქართველი მამაკაცი ქალის დახრჩობის მცდელობისთვის დააკავეს

5 ვალერიან ნემსინვერიძის მკვლელობისთვის მაღაზიის მეპატრონეს ეძებენ

6 ტრამპი თუ ბაიდენი — აშშ ახალ პრეზიდენტს ირჩევს

# თაკო ჩარკვიანი: „ამ მანდატებს თავზე გადავახევთ რუს ოლიგარქს“

## სერგო რატიანი: „ივანიშვილს ახლაც დავათმობინებთ!“

იაგო ნაცვლიშვილი

**ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა. ოპოზიციის წარმომადგენლები რუსთაველის გამზირზე არიან შეკრებილები და აქციებს მართავენ.**



რას აპირებს ოპოზიცია და რა მოთხოვნები აქვთ? – ამ საკითხზე „ახალ თაობასთან“ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **სერგო რატიანი** და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი **თაკო ჩარკვიანი** საუბრობენ.

სერგო რატიანი აცხადებს, რომ ამ თამაშში არ შევლენ, რათა მთელმა მსოფლიომ იცოდეს, რომ უზურპატორი თავის ხმებთან ერთად დარჩება მარტო.

***– თქვით, რომ არ აღიარებთ არჩევნების შედეგებს და რუსთაველზე ხართ შეკრებილები. რა გეგმა გაქვთ და რა არის ოპოზიციის მოთხოვნები?***

– „ევროპულმა საქართველომ“ გამოაცხადა, რომ ჩვენ არ ვცნობთ ამ არჩევნებს და პარლამენტში არ შევდივართ. აქციებს გავმართავთ და პირველი დიდი აქცია გაიმართება კვირას.

***– ვადამდელ არჩევნებს ითხოვთ?***

– ეს არ იყო სამართლიანი არჩევნები და ეს არჩევნები არ გამოხატავს ხალხის ნებას. შესაბამისად, ჩვენ ამ თამაშში უბრალოდ არ შევდივართ, რათა მთელმა მსოფლიომ იცოდეს, რომ უზურპატორი თავის ხმებთან ერთად დარჩება მარტო.

***– ეს რა შედეგს მოიტანს, როდესაც ის მარტო დარჩება?***

– ეს მოიტანს იმ შედეგს, რომ ადრე თუ გვიან ქართული საზოგადოების, ოპოზიციის და შესაბამისად ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით ჩვენ შეგვეძლება გავმართოთ ვადამდელი არჩევნები.

***– დასავლეთთან თუ გქონდათ კომუნიკაცია?***

– ამ წუთას დასავლეთზე არ არის ლაპარაკი. ეს ჩვენი გადაწყვეტილებაა და, ბუნებრივია, დამკვირვებლებიც იყვნენ და, რასაკვირველია, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ჩვენ არ ვცნობთ ამ არჩევნების ლეგიტიმაციას.

***– ამერიკის საელჩოს განცხადებაში საუბარია ამომრჩევლის მოსყიდვასა და დაშინებაზე, მაგრამ აღნიშნულია, რომ არალეგიტიმურობის საფუძველი მაინც არ არის ეს.***

– ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება იყო, მაგრამ იქნება კიდევ უფრო მწვავე განცხადებები გაკეთებული. ისევე, როგორც ჩვენ ივანიშვილს დავათმობინეთ და შევაცვლევინეთ კონსტიტუცია, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება. როდესაც ჩვენი პარტნიორები ხედავენ ქართველი საზოგადოებას მყარს პოზიციას, ისინი დგებიან ჩვენ გვერდზე.

***– ეს აქციები პერმანენტული ხასიათის იქნება?***

– ამას ჩვენ ვნახავთ. რასაკვირველია, საკმაოდ ბევრი აქცია იქნება და შემდგომში კონკრეტულ საკითხებზე ვილაპარაკებთ.

***– ოპოზიციის სრული სპექტრი ხართ შეთანხმებული, რომ არავინ შევა და ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ ვიღაცა შევა და ეს ერთიანობა დაირღვევა?***

– ოპოზიციის სრული სპექტრი თანხმდება, რომ არჩევნები გაყალბებული იყო და კონკრეტულ განცხადებებს პარტიები თავად გააკეთებენ.

* * *

თაკო ჩარკვიანი გვეუბნება, რომ ხალხს იმისთვის არ მიუცია მათთვის ხმები, რომ რუსი ოლიგარქის მარიონეტი იყოს.

თაკო ჩარკვიანი: კითხვადაც კი არ მივიღებ. იმიტომ, რომ მთელმა ოპოზიციამ და საზოგადოებამ იცის, რომ დილის 4 საათზე პირველმა გააკეთა თამარ ჩარკვიანმა განცხადება „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახელით. არჩევნების ღამესვე მივმართე და ვთქვი, რომ ბევრად უფრო თამამი ვარ ახლა, რადგან გაყალბებული შედეგებითაც კი 4 მანდატი გვაქვს „სტრატეგია აღმაშენებელს“ და ჩემი დეპუტატობა სულ ფეხებზე მკიდია შე რუსო ოლიგარქო-მეთქი.

მეორე დღეს ოპოზიცია შევიკრიბეთ ნათელაშვილის ოფისში. ცხადია, ჩემი განცხადება ძალაში დარჩა. შემდეგ მიტინგზე პარტიებმა მოითხოვეს შეკრება და შიდა პარტიული კონსულტაციები. ცხადია, ჩვენ კონსულტაციები არ დაგვჭირვებია, რადგან ჩემი განცხადება შეთანხმებული პოზიცია იყო. ჩვენთან არანაირი კითხვის ნიშანი არ არსებობს.

***– რა არის მოთხოვნა?***



– ახლა გეტყვით მკაფიოდ – ეს რუსი ოლიგარქი უნდა დარჩეს მარტო თავის გაყალბებულ არჩევნებთან. ვიმუშავეთ, მთელი ღამეები გვაქვს გათენებული და ასეთი შეურაცხყოფა წარმოუდგენელია. მე ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი რამე იყო შესაძლებელი 21-ე საუკუნეში. მაგალითად, ახლა ამოვიღებ ერთ-ერთ ოქმს და 360 ადამიანია ზედმეტი. ეს არ არის ჩვეულებრივი ამბავი.

მოვისმინე ეუთოს განცხადება არჩევნების მეორე დღეს, სადაც ერთი ძალიან კარგი ფრაზა იყო, რომ ეს არის პირველადი დაკვირვება. სწორი განცხადებაა, რადგან ელემენტარულად საჩივრების ამოღება და მიწოდება ხომ უნდა მოგვესწრო?! ღამეები კი ვათენეთ, მაგრამ ამხელა ოლქებს ხომ უნდა მოვერიოთ?! ახლა უკვე სხვა სურათს ნახავენ ისინი. არ შეიძლება დასავლეთის ფლანგმა ამ ტიპის მოქმედება წარმოიდგინოს. ისე უნიჭოდ და თავხედურად არის გაკეთებული, რომ არც კი დაფარეს.

ცესკოს ეს ქალი – ჟვანია ცალკე სასაუბრო თემაა. არ უნდა დაგვეშვა, რომ ეს ქალი ყოფილიყო. იმიტომ, რომ ეს მონაც არ არის, არარაობაა. როდესაც მანდატები ხელში გვიჭირავს, თავი ბევრად უფრო მყარად ვიგრძენი, რომ არ ეთქვათ, მაინც ვერ შედის პარლამენტში და ყვირისო. მანდატები ხელში გვიჭირავს, მაგრამ ამ მანდატებს თავზე გადავახევთ ბიძინა ივანიშვილს და არ შევალთ პარლამენტში.

***– ამბობთ, რომ ადამიანებმა მოგცეს ხმა. ის ადამიანები როგორ გაიგებენ, როდესაც არ შეხვალთ?***

– ძალიან კარგად. მირეკავენ და მეუბნებიან, რომ გვიყვარხარო. იმიტომ, რომ მე იმ ადამიანებმა ხმა, იცით რატომ მომცეს? რომ გვენდობოდნენ. იცოდნენ, რომ ჩვენ მოვემსახურებოდით დაპირებებს. დავიწყებდით ქვეყანაში სამართლებრივ რეფორმებს და ამისთვის მოგვცეს ხმა. იმისთვის კი არ მომცეს ხმა, რომ პარლამენტში შევიდე და იქ ვერაფერი გავაკეთო და ვიღაცის მარიონეტი ვიყო.

ხომ არის ხოლმე ტექსტები, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყანას წაადგება თუ არა. დავსვი კითხვა ოპოზიციაში, რომ წაადგება თუ არა. რეფორმები რომ ჩაატარო, ჩვენი ხმა არ ყოფნის და რა ჯანდაბა მინდა რუსი ოლიგარქის მარიონეტად პარლამენტში?! მეტი საქმე არ მაქვს.

***– ითხოვთ თუ არა ვადამდელ არჩევნებს?***

– „ევროპულმა საქართველომ“ ახლა გააკეთა ძალიან ღირსეული განცხადება და მე ასე მგონია, რომ არავინ გამოჩნდება, ვინც იტყვის, უნდა შევიდეთო. ეს გადაწყვეტილება მიღებულია, რომ არ შევდივართ. ჩვენ და „ევროპულმა საქართველომ“ ვთქვით.

***– სხვათა შორის „პატრიოტთა ალიანსმაც“ თქვა არ შევდივართო.***

– შეიძლება. ეს არჩევნები რომ არ იყო, ფაქტია. ეს იყო კრიმინალური, შეურაცხმყოფელი არჩევნები. კრიმინალი მაინცდამაინც ის ხომ არაა, რომ ვიღაცამ თავში ბოთლი ჩაგარტყას?! კრიმინალია, როდესაც ასე ყალბდება არჩევნები.

სამართლებრივად ეს არის დანაშაული და ესენი არიან დამნაშავეები. სათავეში ზის დამნაშავე ხელისუფლება.

# „ეს არ არის პარლამენტი და ჩვენ იქ არაფერი გვესაქმება“

## ოპოზიციამ პარლამენტში შესვლაზე უარი თქვა

„ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“, რომელსაც ცესკოს საბოლოო მონაცემებით, ნახევარ მილიონზე მეტი ამომრჩეველი ჰყავს, პარლამენტში შესვლაზე უარს აცხადებს.

ეს განცხადება გუშინ, 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე გაკეთდა.

ნიკა მელიას თქმით, გაერთიანებულმა ოპოზიციამ გადაწყვეტილება სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მსგავსად მიიღო.

– 31 ოქტომბერს არ ჩატარდა არჩევნები, რა თქმა უნდა „ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“ გაერთიანებულ ოპოზიციას გვაქვს მიღებული გადაწყვეტილება, მსგავსად სხვა პოლიტიკური პარტიებისა, რომ არ შევალთ იქ, სადაც არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან, ანუ პარლამენტში, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი ეძახის პარლამენტს.

ეს არ არის პარლამენტი, ვერ იქნება პარლამენტი, შესაბამისად არავის იქ არ გვესაქმება არაფერი და ჩვენი მოთხოვნა რჩება უცვლელი – ახალი არჩევნები თავისუფალ გარემოში და ეს ყველაფერი იქნება მიღწეული უახლოეს პერიოდში, ანუ „ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია“ გაერთიანებული ოპოზიცია იღებს იმ გადაწყვეტილებას, რა ნებაცაა დღეს საზოგადოებაში და ყური ვუგდეთ საზოგადოებას და არ შევდივართ, არ ვიღებთ ბიძინა ივანიშვილის თამაშის წესებს.

პირიქით, მას მოუწევს უახლოეს დღეებში დაჰყვეს ხალხის ნებას და ხალხის ნება აღსრულდეს ახალი არჩევნების ჩატარების სახითაც, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ამ განცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე იგივე გადაწყვეტილება მიიღო „ევროპულმა საქართველომ“.

განცხადება საგანგებო ბრიფინგზე დავით ბაქრაძემ გააკეთა.

– მიუხედავად ძალიან მძიმე წინასაარჩევნო პერიოდისა, მიუხედავად ძალიან მძიმე დარღვევებით ჩატარებული საარჩევნო დღისა, საარჩევნო საღამოს ჩვენ მაინც ვიყავით ძალიან ფრთხილი და თავშეკავებული არჩევნების საბოლოო შეფასებაში და ვამბობდით, რომ ხმების დათვლას დაველოდებოდით.

სამწუხაროდ, იმან, რაც შემდეგ საარჩევნო კომისიებში მოხდა, არ დატოვა კითხვის ნიშანი იმასთან დაკავშირებით, როგორი არჩევნები ჩატარდა 31 ოქტომბერს. არჩევნები, სადაც სრული სიმძლავრით მუშაობდა ორკესტრირებული გაყალბების სისტემის მანქანა, არჩევნები, რომლის გაყალბებაშიც ჩართული იყო ერთად პარტიული, სახელმწიფო და კრიმინალური სტრუქტურები. არჩევნები, სადაც ადამიანებს აშინებენ კრიმინალები, სუსი და ადგილობრივი ხელისუფლება, პოლიციის სრული უმოქმედობის ფონზე, თავისუფალ არჩევნებად ვერ ჩაითვლება.

არჩევნები, სადაც ამომრჩევლის მოსყიდვაა და გვაქვს ასეულობით ხელით გადაკეთებული ოქმი, ვერ ჩაითვლება სამართლიან არჩევნებად. ამიტომ ჩვენი შეფასება აბსოლუტურად მკაფიოა. ეს არჩევნები არ იყო არც თავისუფალი, არც სამართლიანი და ეს არჩევნები არ ასახავს ქართველი ხალხის ნებას. შესაბამისად, ჩვენ ყველამ ვიმსჯელეთ და მივიღეთ ერთსულოვანი გადაწყვეტილება – „ევროპული საქართველო“ უარს ამბობს შევიდეს პარლამენტში, რომლის არჩევის ლეგიტიმურობასაც ჩვენ არ ვაღიარებთ და უარს ვამბობთ მონაწილეობა მივიღოთ მეორე ტურში.

ეს არ არის რიგითი პროტესტი ან რიგითი ბოიკოტი. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით და მხარს ვუჭერთ პარლამენტში მონაწილეობას და აქტიურობას, მაგრამ დღეს საქმე გვაქვს სახელმწიფო გაყალბების მანქანასთან და ხალხის ნების ფუნდამენტურად დამახინჯებასთან. ამას ჩვენ ვერ შევეგუებით და ამიტომ ამის ლეგიტიმაცია ჩვენგან ვერ მოხდება. მე მივმართავ სხვა ოპოზიციურ პარტიებს და იმედი მაქვს, რომ მათგანაც ძალიან სწრაფად მოვისმენთ მათ შეფასებასა და პოზიციას, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

გუშინ საღამოს, პარლამენტის ბოიკოტს ყველა ოპოზიციური პარტია შეუერთდა.

# „ოცნება“ პარლამენტში 90 დეპუტატზე მეტს ვერ შეიყვანს

„ქართული ოცნება“, რომელმაც, ცესკოს წინასწარი მონაცემებით, პროპორციული წესით ხმების 48.15% მიიღო, ამ შედეგით, ჯამში პარლამენტში 90 დეპუტატზე მეტს ვერ შეიყვანს – ყველა მაჟორიტარული ოლქის მოგების შემთხვევაში, სავარაუდოდ, პროპორციული მანდატებიდან ერთი მანდატის მოკლება მოუწევს.

აქ ე.წ. „ჩამკეტი მექანიზმი“ მოქმედებს, რომლის მიხედვით, მანდატების საერთო რაოდენობაში, პარტიის მიერ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით მიღებული მანდატების პროცენტული წილი, ამავე პარტიის მიერ პროპორციული სისტემით მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებლისა და ამ მაჩვენებლის ერთი მეოთხედის ჯამს არ უნდა აღემატებოდეს.

კონსტიტუციითა და საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული ეს ფორმულა კი იმას ნიშნავს, რომ თუკი არჩევნების საბოლოო შედეგით, „ქართული ოცნების“ 48.15% (61 პროპორციული მანდატი) არ შეიცვალა და ამავდროულად, სახელისუფლებო პარტიამ 30-ვე მაჟორიტარული ოლქი მოიგო, პარლამენტში 91-ის ნაცვლად, 90 დეპუტატით იქნება წარმოდგენილი. მანდატი მას პროპორციული საარჩევნო სიიდან ჩამოაკლდება.

რაც შეეხება ჩამოკლებულ მანდატს, მას სხვა უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური სუბიექტი მიიღებს. ასეთი კი ნაციონალური მოძრაობაა.

# გიორგი გახარიას და ნათია მეზვრიშვილს კოვიდ 19 დაუდასტურდათ

## ნათია თურნავა თვითიზოლაციაშია

გუშინ, 2 ნოემბერს, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას ტესტირების შედეგად კორონავირუსი დაუდასტურდა. გიორგი გახარია თავს კარგად გრძნობს და მკურნალობას სახლში გააგრძელებს.

როგორც ცნობილია, 31 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრი თვითიზოლაციაში გადავიდა, ვინაიდან მას ხანგრძლივი კომუნიკაცია ჰქონდა დაცვის თანამშრომელთან, რომელსაც მიზნობრივი შერჩევითი ტესტირებით დაუდგინდა კორონავირუსი.

გუშინვე კორონავირუსი მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ნათია მეზვრიშვილსაც დაუდგინდა. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა.

„დამიდასტურდა კოვიდ 19, კარგად ვარ, სახლში გავდივარ მკურნალობას და შეძლებისდაგვარად ვაგრძელებ მუშაობას“, – დაწერა მეზვრიშვილმა.

კოვიდინფიცირებულთან კონტაქტის გამო თვითიზოლაციაშია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვარდების რევოლუცია“ ერთხელ იყო და მეორეჯერ აღარ მოხდება!

## თორნიკე შარაშენიძე: „არაფერია მუდმივი და არც „ქართული ოცნება“ იქნება მუდმივი. თუ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს ნორმალურად, უნდათ თუ არ უნდათ, ეს ხელისუფლება უნდა დაამარცხონ არჩევნებზე და ეცადონ, მომავალ არჩევნებზე ისეთი სისულელეები არ ჩაიდინონ, როგორიც ამ არჩევნებზე ჩაიდინეს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**

***– ბატონო თორნიკე, არჩევნების შედეგები სახეზეა. ხელისუფლება კმაყოფილია, ოპოზიცია კი უკმაყოფილო. გავიდნენ ქუჩაში და უარს ამბობენ მანდატებზე. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად ობიექტურად ჩატარდა არჩევნები და რა უნდა ოპოზიციას?***

– ჩემი აზრით, არჩევნები ამომწურავად და ზუსტად შეაფასა ამერიკის საელჩომ. დარღვევები იყო ნამდვილად. სამწუხაროდ, ამ მხრივ წინსვლა ნამდვილად არ გვაქვს. დაახლოებით ისეთ დონეზე იყო არჩევნები, როგორც 2016 წელს, თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ შედეგის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ შეიძლება. სხვანაირი შედეგი ალბათ შეუძლებელიც იყო და ამას აქვს ობიექტური მიზეზები. ოპოზიცია ძალიან დაქსაქსული იყო და ივანიშვილზე უფრო მეტად ერთმანეთს ლანძღავდნენ. ეს ერთი და მეორეც, როცა არჩევანი ისევ მიშასა და ბიძინას შორის მიდის, უმრავლესობა მაინც ბიძინას აძლევს ხმას. ეს არჩევნებიც რეალურად იქცა ისევ ბიძინა-მიშას ბრძოლად და მესამე, რა თქმა უნდა, „ოცნების“ ხელშია უზარმაზარი რესურსები. აი ამ სამმა ფაქტორმა განაპირობა საბოლოო ჯამში ის, რომ ოპოზიციამ ეს არჩევნები წააგო.

***– რატომ არ უნდათ ამ შედეგების აღიარება? ჰქონდათ მოლოდინი, რომ დასავლეთი მათ მხარეს დაიჭერდა, თუმცა ასე არ მოხდა.***

– ვნახეთ, რომ დასავლეთმა ოპოზიციის მხარე არ დაიჭირა. ცესკოს მონაცემებსა და პარალელური დათვლის შედეგებს შორის სულ რაღაც 2.2%-იანი სხვაობაა. ამ სხვაობის გამო არჩევნების არალეგიტიმურად ცნობა, რა თქმა უნდა, თავში აზრად არავის მოუვა. ეს ოპოზიციამ რატომღაც არ გაითვალისწინა. სანამ ქუჩაში გავიდოდნენ, მანამდე კარგად უნდა აეხსნათ და დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე, იგივე ევროპელებისთვის. ეს აშკარად არ მოინდომეს და პირდაპირ გაიქცნენ ქუჩაში.

***– ანუ არ არის სწორი ოპოზიციის დღევანდელი მოთხოვნები?***

– ნამდვილად არ არის.

***– აქციებით ვერაფერს შეცვლიან?***

– ვიღაცას თუ ვარდების რევოლუცია ელანდება დღემდე, „ვარდების რევოლუცია“ ერთხელ იყო და მეორეჯერ აღარ მოხდება! მაშინ სიტუაცია იყო უნიკალური.

***– ანუ იჩქარა ოპოზიციამ?***

– ნამდვილად იჩქარა. როგორც ჩანს, ზოგი ვერ გამოვიდა ამ „ვარდების რევოლუციის“ ეპოქიდან.

***– ნაციონალური მოძრაობა კატეგორიულად აცხადებს, რომ არ გვინდა ეს მანდატები და არც პარლამენტში შევალთო. შეიცვლიან პოზიციას?***



– თუ არ შევლენ, ჩემი აზრით, სერიოზულ შეცდომას დაუშვებენ, იმიტომ, რომ მათ ახლა უფრო მეტი მანდატი აიღეს, ვიდრე 2016 წელს, მეორეც, მმართველ გუნდს წინ მძიმე კრიზისი ელის, ამას რამდენად გაუმკლავდება, ღმერთმა უწყის. ასე რომ, ოპოზიციას ეძლევა შანსი, მთავრობა აკრიტიკოს საქმიანად და სერიოზულად. შესაძლოა, ისე გაუჭირდეს ხელისუფლებას, რომ მართლა ვადამდელ არჩევნებამდე მივიდეს საქმე. ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა შევიდნენ, გამოიყენონ ის ბერკეტი, რომელსაც ეს 35 მანდატი აძლევს მათ, პარლამენტიდან აკრიტიკონ მთავრობა. საკრიტიკებელი, მერწმუნეთ, ბევრი იქნება, მთავრობას სერიოზული კრიზისი ელის წინ. მართოს „ოცნებამ“ ქვეყანა კრიზისში, შევხედოთ, რისი თავი აქვთ.

***– ოპოზიციის მოთხოვნა, რომ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, არასერიოზულია?***

– ვადამდელს მოიგებს ოპოზიცია?! არჩევნებს ხომ ფული უნდა. ფული ვის აქვს, ოპოზიციას თუ ბიძინა ივანიშვილს?! ასე რომ, არ არის სერიოზული ვადამდელი მოთხოვნა, როცა ვადიანსაც ვერ იგებენ ელემენტარულად!

***– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ ასე გააგრძელა ოპოზიციამ, შესაძლოა, ეს შედეგებიც სანატრელი გაუხდეს, მით უმეტეს, თუ ხალხმრავალი მიტინგების მობილიზებაც ვერ მოახერხესო.***

– თუნდაც მიტინგები იყოს, მერე რა? შარშან რომ მიტინგები იყო, რა მოყვა ამას, როცა გაცილებით სერიოზული მუხტი იყო. სამი თვეა მიტინგები მიდის ბელარუსში და არც არაფერი. რატომ? იმიტომ, რომ ლუკაშენკოს ჰყავს მაძღარი პოლიცია და სამართალდამცავები. აქაც მაძღარია სამართალდამცავები. „ვარდების რევოლუციის“ დროს კი მშიერი იყო პოლიცია და სამართალდამცავები.

***– მაჟორიტარულ ნაწილში თითქმის ყველგან მეორე ტური იქნება. აქ რა შედეგს ელით?***

– უნდა იომონ მეორე ტურში. მით უმეტეს, ოპოზიციას თბილისში კარგი შანსები აქვს. „ოცნებას“ თბილისში არ წაუგია, მაგრამ სერიოზულად გაუჭირდა. თუ რამის თავი აქვს ოპოზიციას, ახლა აჩვენონ. მეორე ტურში უარის თქმა, ჩემთვის გაუგებარია.

***– ითქვა, რომ ეს დირექტივა მოდის სააკაშვილის მხრიდან, რომ იდგნენ ქუჩაში.***

– სააკაშვილი რომ ძლიერი პოლიტიკოსია, ამ არჩევნებში კიდევ ერთხელ დაამტკიცა. ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, რომ ეს მისი დავალება იყოს. თუ ასეა, ძალიან ეშლება. თუ მას რევოლუციის იმედი აქვს, ცდება აშკარად შეფასებაში. ჯერჯერობით რევოლუციის დრო არ არის საქართველოში და ალბათ კარგა ხანს არ დადგება. საქართველომ ერთხელ უკვე გაიარა რევოლუცია. არც გეოპოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა ახლა რევოლუციის საშუალებას. ამას მოწმობს ეუთოს და ამერიკის საელჩოს მიერ გაკეთებული მოზომილი განცხადებები. გავიდა მეორე დღეც და ამერიკის კონგრესიც დუმს. ამერიკის საელჩოს განცხადებით, ყველაფერი ნათქვამია. ამერიკის ელჩი მოუწოდებს ყველას, რომ მეორე ტურში მიიღონ მონაწილეობა. მეტი რა თქვას?!

***– ამერიკის ელჩმა ოპოზიციის მხრიდან საყვედური დაიმსახურა.***

– მოვისმინეთ, კი, ეს განცხადებები, რომ ამერიკის ელჩი ცდება და ასე შემდეგ. მე რომ მსგავსი რამ მეთქვა, ამერიკის ელჩი ცდება, ალბათ მიწაში ჩამდებდნენ და გუშინ თვითონ ჩადეს მიწაში ამერიკის ელჩი. როგორც უნდათ, ისე ჭრიან და კერავენ და ასე არ გამოვა.

***– როგორ სურათს მივიღებთ საბოლოოდ?***

– მე მაინც იმედი მაქვს, რომ შევლენ პარლამენტში და იქიდან გააგრძელებენ ბრძოლას. არაფერია მუდმივი და არც „ქართული ოცნება“ იქნება მუდმივი. თუ გვინდა, რომ ქვეყანა განვითარდეს ნორმალურად, უნდათ თუ არ უნდათ, ეს ხელისუფლება უნდა დაამარცხონ არჩევნებზე და ეცადონ, მომავალ არჩევნებზე ისეთი სისულელეები არ ჩაიდინონ, როგორიც ამ არჩევნებზე ჩაიდინეს. შეეგუონ და გაიაზრონ, რომ „ბიძინა კრემლის აგენტია“, ეს არ მუშაობს. გადავიდნენ სერიოზულ და საქმიან კრიტიკაზე. თუ იგივე გააგრძელეს ასე, ივანიშვილს ვერ დაამარცხებენ. რამდენჯერ უნდა დამარცხდე ივანიშვილთან, რომ ბოლოს და ბოლოს ვერ გამოიტანო დასკვნები? თავის დროზე ასე იყო გამწარებული სააკაშვილის ოპოზიციაც და ძალიან უნდოდათ მისი წასვლა, მაგრამ ვერ გაუშვეს მანამ, სანამ არჩევნებში არ დაამარცხეს. წააგო არჩევნები და წავიდა. კი, ხელისუფლებამ ამ არჩევნებში დააშავა, გააყალბა კიდეც, მაგრამ ჯამში ოპოზიციაზე მეტი ხმა მიიღო. აი ეს არის ოპოზიციის პრობლემა და ამ პრობლემას თვალი უნდა გაუსწორონ. „ოცნებამ“ 40%-ს ნამდვილად გადააცილა და ამით ყველაფერი ნათქვამია.

***– რამდენად ვაჭრობს ახლა ოპოზიცია ქუჩიდან?***

– თუ ვაჭრობენ და აყვედრიან, რომ არ შემოვალთ პარლამენტში, მე მგონი, პასუხი იქნება, რომ ნუ შემოხვალთ. ამ საქციელით კიდევ უფრო გაიფუჭებენ თავიანთ იმიჯს დასავლელ პარტნიორებთან. არა მგონია, ვინმემ კალთები დაახიოს, გინდა თუ არა, შემოდით პარლამენტშიო. უფრო მეტს დაკარგავს ოპოზიცია, თუ არ შევა პარლამენტში.

# „ოპოზიცია ამ არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ვერანაირი ვაჭრობა ვერ იქნება! ყველა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ ივანიშვილთან თანამშრომლობას არავინ აპირებს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე და ოპოზიციის გეგმებზე საუბრობს.**

***– ლაშა, ოპოზიციამ ეუთო-ოდირის სადამკვირვებლო მისიას რა განსხვავებული დარღვევის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია?***

– ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა. ყველა ბარიერგადალახული პარტია ესწრებოდა ამ შეხვედრას. ყველამ დავაფიქსირეთ, რომ ეს არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ამიტომ, ჩვენ, ოპოზიცია, ამ ფარსში, რომელსაც „ოცნებამ“ არჩევნები უწოდა, მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებთ და მე-10 მოწვევის პარლამენტს ბოიკოტს უცხადებს სრული ოპოზიციური სპექტრი.

ცხადია, გაყალბების შესახებ დეტალური ინფორმაცია დოკუმენტალურად მივაწოდეთ მისიას. 30 წლის განმავლობაში ასეთი ღია ფაქტები უბრალოდ არ მახსოვს.

***– თუ ჰქონდათ მათ რეაქცია ამ მასალებზე?***

– საინტერესო იყო ის, რომ ეუთოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათ სამართლიანად და თავისუფლად ეს არჩევნები არ შეუფასებიათ. მათ გვითხრეს, რომ შეფასებული იქნა ცალკეულ უბნებზე მდგომარეობა, სადაც ისინი უშუალოდ იმყოფებოდნენ. მოგეხსენებათ, გასაგები მიზეზების გამო ძალიან მწირი რაოდენობით ესწრებოდა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია ამ არჩევნებს. პანდემიამ



ფაქტიურად ხელი შეუშალა საერთაშორისო საზოგადოების მეტ აქტიურობას. რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლებამ სათავისოდ გამოიყენა და ვიხილეთ ის, რაც მე პირადად არ მინახავს ამ ქვეყანაში არასდროს. იყო იარაღის ტრიალი, ძველი ბიჭები, ამომრჩევლის დაშინება, ღიად და დაუფარავად ფულის დარიგება, ამომრჩევლის მოსყიდვა. კანდიდატების ცემა და დაჭრა, ჟურნალისტების დასისხლიანება. შუქის ჩაქრობა ხმის დათვლის პროცესში. დაუბალანსებელი ოქმები, ოქმები, სადაც ბალანსი ვერ დგება, გამოყრილი დამკვირვებლები უბნებიდან. ერთი სიტყვით, ვნახეთ ყველაფერი, რაც ძალიან შორს არის სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისგან. ამ ყველაფრის ამსახველი ვიდეო-მასალა გადავეცით ეუთოს მისიას და ეს პროცესი გრძელდება.

***– ოპოზიცია რომ არ შედის პარლამენტში, ამაზე როგორი იყო მათი დამოკიდებულება. მიიღეთ რაიმე რჩევები?***

– ჩვენ ღიად განვაცხადეთ, რომ ოპოზიცია ამ არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს და ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილებაც. ამაზე მათი პოზიცია იყო, რომ გადაწყვეტილება ჩვენი მისაღებია. ჩვენ ამით მთელ მსოფლიოს ვეუბნებით, რომ ჩვენ ვართ სახელმწიფო, ერი და არა ხროვა, რომელიც ყველაფერს ეგუება და იტანს. არჩევნების გაუქმებას და თვითგამოცხადებულ მმართველობას ამ ქვეყანაში არავინ არ შეეგუება. ამის დემონსტრირებას ახდენს დღეს ოპოზიცია მსოფლიოს წინაშე. ამიტომ მივიღეთ ბოიკოტის გადაწყვეტილება. ეს იქნება ივანიშვილის რეჟიმის დასასრული.

***– ოპოზიცია ისევ ითხოვს ვადამდელ არჩევნებს?***

– დიახ. გონს მოეგონ და რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე გადაწყვეტილება, ეს ყველაზე ნაკლებად მტკივნეული იქნება რეჟიმისთვის ან მიიღებენ პირბადეების რევოლუციას.

***– პარლამენტის ბოიკოტთან დაკავშირებით ოპოზიცია რამდენად არის ერთიანი?***

– აბსოლუტურად ყველა პარტიამ ამის შესახებ განცხადება გააკეთა. შესაბამისად, არავინ არ შედის პარლამენტში.

***– „პატრიოტთა ალიანსი“?***

– „პატრიოტთა ალიანსი“ პარტია არ არის, ის პუტინის ალიანსია. თუმცა, მათაც კი განცხადება გააკეთეს, რომ არჩევნები გაყალბდა.



***– სავარაუდოდ, ცალკეულ ოპოზიციონერებთან დაიწყება ვაჭრობა. ეს რა გავლენას იქონიებს საერთო ოპოზიციურ გადაწყვეტილებაზე?***

– ვერანაირი ვაჭრობა ვერ იქნება! ყველა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ ივანიშვილთან თანამშრომლობას არავინ აპირებს. არა მგონია განწირულ ძალასთან სათანამშრომლოდ ვინმე წავიდეს. ეს იქნება პოლიტიკური განაჩენი იმისთვის, ვინც ამაზე წავა. თუკი ვინმე ამ ფონზე ქვეყანას უღალატებს, უღალატებს თავის მორალურ პრინციპებს, ის პოლიტიკურ სანაგვეზე აღმოჩნდება. ეს ძალიან მარტივი დასანახია.

***– აქციები გაგრძელდება? ასევე საინტერესოა, რა ფორმის იქნება თუ გაგრძელდება?***

– რასაკვირველია აქციები გაგრძელდება და ეს იქნება ყოველდღიური. იქნება საყოველთაო, დიდი აქციებიც და შედარებით მცირე, ლოკალური აქციები. მშვიდობიანი პროტესტის ყველა ფორმას გამოვიყენებთ, რათა ვაიძულოთ ივანიშვილი, დროულად დანიშნოს ახალი არჩევნები ან ის მიიღებს მშვიდობიან პირბადეების რევოლუციას. არჩევანი მან უნდა გააკეთოს.

# სოსო შატბერაშვილი: „რიგგარეშე არჩევნები არარეალურია“

## „უნდა მოხდეს ხმების ხელახალი დათვლა იმ უბნებზე, სადაც დარღვევები იყო“

მარიამ მჭედლიშვილი

**ნაციონალური მოძრაობისა და სხვა ოპოზიციური პარტიების გარდა, 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგს აპროტესტებს „პატრიოტთა ალიანსი“. „ახალი თაობა“ ესაუბრა ამ პარტიის მოკავშირე „მემარცხენე ალიანსის“ თავმჯდომარე სოსო შატბერაშვილს.**



**სოსო შატბერაშვილი:**

– ჩვენ ამ არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსთან“ ერთად ვმონაწილეობდით. უსინდისოდ დაგვიწერეს დაახლოებით 3%. რეალურად, ამ სამიანისთვის 0 უნდა მიეწერათ. ეს იქნებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ მაჩვენებელი. ამ შედეგს არ ვცნობთ. ვიბრძოლებთ სამართლებრივად, თუმცა არ გამოვრიცხავთ საპროტესტო აქციებს. თუ აქციები გავმართეთ, ისინი არანაირად არ იქნება დაკავშირებული ნაციონალურ მოძრაობასთან და იმ პარტიუკებთან (როგორც სააკაშვილი ამბობს), რომლებიც დროდადრო იკრიბებიან ლეიბორისტული პარტიის ოფისსა და ფანჩატურში. უკმაყოფილო ვართ არჩევნების შედეგებით. ამის წინააღმდეგ სხვებისგან დამოუკიდებლად ვიბრძოლებთ.




***– რიგგარეშე არჩევნების გამართვა რეალურია?***

– არა. ვფიქრობ, რომ ვადამდელი არჩევნები არარეალურია. უნდა მოხდეს ხმების ხელახალი დათვლა იმ უბნებზე, სადაც დარღვევები იყო. ზოგ უბანზე დაფიქსირდა დისბალანსი. დარღვეულია ბალანსი ხელმოწერებსა და ბიულეტენების რაოდენობას შორის. სადაც გამოკვეთილია გადაცდომა, იქ შედეგი ბათილად უნდა გამოცხადდეს და მეორე ტურის დროს გაიმართოს ახალი არჩევნები. ამ სიტუაციამ გამახსენა 2008 წელი. ჩვენ, გაერთიანებული ოპოზიცია, მაშინ რიგგარეშე არჩევნებზე ვმსჯელობდით. გაირკვა, რომ ბევრს ახალი არჩევნებისათვის თანხები აღარ ჰქონდა. ვილაცამ თქვა კიდეც, თუ ფულის არსებობის პირობებში ვერაფერს მივაღწიეთ, უფულობისას უარესს მივიღებთო.

***– დამკვირვებლების ნაწილი თვლის, რომ არჩევნებზე კონკურენტული გარემო იყო.***

– ამას არ დავეთანხმები. რესურსების უთანაბრობა არავის გაუკვირდება. მე მინდა გავამახვილო ყურადღება არამარტო ფულზე. მძლავრი რესურსები (არა მხოლოდ თანხები) ჰქონდათ „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას. მოგეხსენებათ, კენჭს ვიყრიდი მცხეთა-მთიანეთში. ოფისის დაქირავება რომ გადავწყვიტეთ, აღმოჩნდა, რომ ყველა ოფისი ერთი წლით ადრე ჰქონდათ დაქირავებული მმართველი პარტიისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს.

***– ერთი წლით ადრე რატომ დაიკავეს საოფისე ფართები?***

– გავარკვიე, რომ ამდენი ფართი მათ არ სჭირდებოდათ. ჰქონდათ ფული და დაიკავეს ოფისები, რომ სხვისთვის არ დაეთმოთ. ბოლოს სარდაფი ვიქირავეთ. ხალხთან შეხვედრებზე დავდიოდი, მაგრამ ჩემი ოფისი გამვლელ-გამომვლელისათვის მიუდგომელი იყო. ცეზარ ჩოჩელს, რომელიც არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის ბლოკში იყო, ამ რეგიონში დაახლოებით 10 000 კაცი ჰყავს დასაქმებული. ეს გაამრავლეთ 4-ზე, ანუ მათ ოჯახებზე. ამ ხალხს აიძულებდნენ, ხამ მიეცა ჩოჩელისათვის.

***– ესეც ადასტურებს, რომ არათანასწორი გარემო იყო?***

– რასაკვირველია. „ქართული ოცნების“ მხრიდან მოსყიდვის ფაქტები არ მინახავს, ნაციონალებმა კი ორას-ორასი აქ ლარი დაარიგეს. ასე რომ, მმართველი პარტიის გრანდიოზული სახელისუფლებო რესურსის გარდა, დაბრკოლებად გვექცა ნაცმოძრაობის გრანდიოზული ბიზნესრესურსი. ნაციონალებს ბიზნესი სხვა რაიონებშიც აქვთ. ამ ორივე პარტიას უპყრია ასევე ტელევიზიები.

***– ამ ორი პარტიის შესაძლებლობებზე ისაუბრეთ. არჩევნების შედეგს თუ დავაკვირდებით, ორივე მათგანმა მაღალი პროცენტი მიიღო. საზოგადოების ნაწილი ეჭვობს, რომ ორივეს წაუმატეს ხმები.***

– არა მგონია, ასე იყოს. ბიულეტენების მასობრივი ჩაყრა და ტოტალური გაყალბება არ ყოფილა. არის ცალკეული დარღვევები, რომლის გამოსწორება შესაძლებელია. „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას ერთმანეთის გვერდზე ვერ დავაყენებ. „ოცნების“ მიერ მიღებული პროცენტები გასაკვირი არ არის. სახელისუფლებო პარტიას აქვს საიმისო ბერკეტები, რომ სხვებს აჯობოს. მე მაცვიფრებს ის, რომ ნაციონალებს მხარს უჭერს ნახევარი მილიონი ადამიანი. ეს ხომ მკვლელების, მწვალებლების, ომის წამგებლების, ტერიტორიების გამყიდველების პარტიაა! ლამის მთელი ქვეყანა იხრჩობა ბანკების ვალებში. ამ დროს გაუგებარია, რომ ბანკირების პარტია „ლელოს“ თითქმის 4% აქვს. ამაზე უარესია, რომ 3% მიიღო „გირჩმა“.მისი ლიდერები მარიხუანას მოხმარებას ავადმყოფობადაც კი არ თვლიან. მათთვის ნარკომანია ნორმალურია, ისევე, როგორც ერთნაირსქესიანთა ქორწინება, მრავალცოლიანობა, პროსტიტუცია და ა. შ. ესაა შემაშფოთებელი, რომ ამის პროპაგანდას ხელს უწყობენ ფსევდოლიბერალური ტელევიზიები.

***– საქართველოს საზოგადოება უფრო კონსერვატიულად ითვლება. არჩევნების შედეგი კი საპირისპიროს ამტკიცებს.***

– დიახ, ჩვენ უფრო ტრადიციული საზოგადოება ვართ. სამწუხაროდ, ხანდახან ტრადიციებსაც ვამახინჯებთ, მაგალითად, ტრადიციულ ქართულ სუფრას, რომელიც თავისებური აკადემიაა, ლოთობით ვამრუდებთ. ჩემი აზრით, ამომრჩეველზე მოქმედებს წინასაარჩევნო პროპაგანდა. ამ არჩევნებზე დარღვევებიც იყო. ამ დარღვევებითაც კი პატრიოთა ალიანსს ჩვენთან ერთად, როგორც კონსერვატიულ გაერთიანებას, 15-18% მაინც უნდა მიეღო. არამყარი ფსიქიკის მქონე ადამიანები ადვილად ეგებიან სატელევიზიო პროპაგანდას. ამის გამო ვიღებთ ამ უცნაურ რიცხვებს. ადამიანები რატომღაც მუდმივად მაჩერებენ ქუჩაში და მისვამენ ერთ გაცვეთილ კითხვას -გვეშველება რამე? რატომღაც ეს კითხვა არჩევნების დღეს არ ახსენდებათ. მინდა მათ ვუთხრა, თუ გარყვნილება დამკვიდრდება, თუ ბევრი რამ უკან წავა, საკუთარ თავს დააბრალონ.

# პეტრე მამრაძე: „ოცნებას“ ნერვებმა არ უნდა უმტყუნოს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

***– ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს და თანმდევ მოვლენებს?***

– ჩემთვის სიურპრიზები, პრაქტიკულად, არ ყოფილა. პროპორციული სისტემით „ოცნებამ“ ცოტათი ნაკლები აიღო, ვიდრე ველოდი. ნაცმოძრაობამ კი 27% (ჩვენ გვილაპარაკია ამაზე) ისევ აიღო. ვინაიდან დასწრება არის არა 50-51%, როგორც ოთხი წლის წინ იყო, არამედ 56%. ე.ი. ზოგადად, სააკაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა იგივე დარჩა, ანუ მთელი ამომრჩევლის დაახლოებით 13%-ია.

***– ნაციონალების ეს შედეგი სავსებით ლოგიკური და ნორმალურია?***

– სააკაშვილის მხარდამჭერები არიან ადამიანები, რომლებიც ყველა შემთხვევაში მიდიან არჩევნებზე, როგორი ამინდიც უნდა იყოს. ეპიდემია არის თუ არა, ხმას სააკაშვილს აძლევენ. სააკაშვილი რა სიგიჟესაც უნდა ჩადიოდეს (სახურავზე რომ ავიდეს და აღარ ჩამოვიდეს, ან თუნდაც გადმოხტეს სახურავიდან, მათზე არ მოქმედებს), მაინც მისი ერთგულები რჩებიან. მათი ოდენობა მხოლოდ 13%-ია, არც – იზრდება და არც – მცირდება.

დანარჩენების შემთხვევაშიც სრულიად რეალისტურ ციფრებს ვხედავთ. თუნდაც ის, რომ ბურჯანაძემ, საერთოდ, 1%-იც ვერ მიიღო. „ლელომ“ და სხვებმა, რომლებიც იმუქრებოდნენ, რომ ყველაფერს დალეწავდნენ, საშუალოდ 3% მიიღეს. ეს ემთხვევა იმ შეფასებას, რასაც ვისმენდი ბოლო წლების განმავლობაში მოვლენებზე დაკვირვებისას. ბოლო თვეებში საკმაოდ ინტენსიურად ველაპარაკებოდი ადამიანებს და რასაც ვხედავთ, ადეკვატური შედეგია.

ოპოზიციის მხარდამჭერები ყოველთვის უფრო აქტიურები არიან, მიდიან არჩევნებზე. ამომრჩეველთა 56% არჩევნებში მონაწილეობდა და 44%, საერთოდ, არჩევნებზე არ მივიდა. ჩემი აზრით, ისინიც რომ მისულიყვნენ, „ოცნება“ გაცილებით მეტს აიღებდა, რადგან ოპოზიციის მხარდამჭერები ყოველთვის აქტიურები არიან და მიდიან.

ხელისუფლების მხარდამჭერებს ურჩევნიათ, მმართველი ჯგუფი იყოს, ვიდრე – სხვა. ისინი ხშირად ფიქრობენ, მაინც ხელისუფლებაში არიან, მათ ხელშია სახელისუფლებო, ფინანსური რესურსი და უჩვენოდაც გაიმარჯვებენო, ამიტომ არ მიდიან

***– თქვენ თვით, სავსებით სწორი შეფასებები და სწორი შედეგებია, მაგრამ ჩვენ ვხედავთ რუსთაველზე გამოსულ ოპოზიციას (ნათელაშვილის ოფისში რომ იკრიბებოდა, ნაციონალები, ევრონაცები და სხვები), რომელიც აპროტესტებს არჩევნების შედეგებს, მის არალეგიტიმურად ცნობას და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. ამას როგორ ახსნით?***

– ეს არის სააკაშვილის ხელწერა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა უკვე აღნიშნეს, რომ სრულიად ალოგიკური და აბსურდულია არჩევნების დღეს და მეორე დღეს გაპროტესტება. ესენი მართლად ეროვნული ინტერესების მქონე რეალური ოპოზიცია რომ ყოფილიყვნენ, ყველა საჩივარს მიჰყვებოდნენ. რამდენიმე ასეული საჩივარია შესული, მაგრამ როგორც ვიცი, ძირითადად ტექნიკური ხასიათის საჩივრებია.

მათ ძალიან კარგად იციან (სააკაშვილმა ხომ იცის), რომ სინამდვილეში მათ ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ. მიიღეს ის, რაც ეკუთვნოდათ, მაგრამ ამას ვერ ეგუებიან. მათთვის ყოვლად მიუღებელია იმის თქმა, დიახ, 3%-ს ვიმსახურებდით და 3% მივიღეთ, დიახ, 27% მივიღეთ, როგორც გვქონდა 4 წლის წინ, იგივე შედეგი გვაქვს ახლა და იგივე ვართ ახლაცო. ეს მათთვის მიუღებელია. ეს არის მარცხის აღიარება და დასტური იმისა, რომ მასა მათ მხარს არ უჭერს.

„გირჩმა“ დაახლოებით იმდენი აიღო, რაც ევროპულმა საქართველომ. ხომ ვიცით, „გირჩი“ დამოკიდებულია იმაზე, რომ მასხარა პარტიაა. მას ახალგაზრდები ხმას პროტესტის ნიშნად აძლევენ. ეს ახალგაზრდები პოლიტიკოსებს არასუფთა ადამიანებად მიიჩნევენ. აქედან ჩანს ეს ეპატაჟური მასხარა პარტია. ასეთი კლოუნური პარტიები მთელ მსოფლიოშია და კიდევაც ღებულობენ გარკვეულ ხმებს.

როცა კლოუნური პარტია იღებს დაახლოებით იმდენივეს, რამდენსაც ის პარტია, რომელიც თავის თავს სერიოზულად მიიჩნევს, მათთვის ეს მიუღებელია. მე ვსაუბრობ მათზე, ვინც პროტესტის გამოსათქმელად გამოვიდა.

***– ნინო ბურჯანაძემ და ლეიბორისტებმა ხმა რატომ ვერ მიიღეს?***

– იმიტომ, რომ მათ მხარს არ უჭერენ. ეს არის რეალური ხმები. ხომ გახსოვთ, 26 მაისს, როცა ძალადობა დაიწყო, პირველი ბურჯანაძე გაიქცა, თანაც ისე, რომ ადამიანი შეიწირა. ასევე, ხომ გვახსოვს, პატარა ანზორიკო დედამისს, ნინო ბურჯანაძეს რომ ელაპარაკებოდა, სააკაშვილი ძალადობას თუ მიმართავს, ხალხს თუ დახოცავს, თბილისში უცებ გერეუს რაზმი შემოვა და სააკაშვილის ამბავი დამთავრდებაო, ანუ ადამიანი მიდიოდა იმაზე, თუნდაც გერეუს რაზმები, ოკუპანტი ქვეყნის რაზმები შემოსულიყო თბილისში, ოღონდ თვითონ გამხდარიყო პრეზიდენტი. ხალხი ამას არ ივიწყებს.

ბოკერიას 3% მაქსიმუმია, რადგან თვითონ ბოკერია ეკრანზე რომ ჩნდება, ეს მოსახლეობას ამცნობს, მე აქ ვარ, ფრთხილად იყავით, მე მოვალ ხელისუფლებაშიო. ბოკერიას ძლიერი ანტიქარიზმა აქვს, ისევე, როგორც უგულავას, რომელიც პროფესიონალი თაღლითია, 48 მილიონი გაფლანგა და ლასვეგასიდან გვატყობინებდა, ლასვეგასში იმიტომ ვარ ჩასული, ნაგვის მანქანა შევარჩიოო. მოკლედ, ხომ გვახსოვს, რას წარმოადგენენ ყველანი.

***– „ლელო“ აცხადებდა 250 ათასი ვართ და თითო კაცს თუ წამოიყვანთ, შთამბეჭდავ ხმებს მივიღებთო. 250 ათასი თუ იყო, ასეთი დაბალი პროცენტი რატომ აიღო?***

– იმიტომ, რომ ბლეფი იყო, სრული ბლეფი, ტყუილი. დიდი ხნის განმავლობაში მომიწია პოლიტიკაში და საჯარო სამსახურში ყოფნა და კონტაქტებს ახლაც არ ვკარგავ. ხშირ შემთხვევაში ჩვენი ვაიპოლიტიკოსები გულწრფელად იჯერებენ ფანტასტიკურ ციფრებს.

მე მომსწრე ვარ იმისა, ადამიანს, რომელსაც რეალურად 2-3% ჰქონდა, თვითონ სწამდა, რომ 85% მაინც აქვს. ეს აცდენა რეალობისაგან (არ ვიცი, ასე იყო თუ არა ხაზარაძე-ჯაფარიძის შემთხვევაში) იმიტომ ხდება, რომ მუშაობს გარკვეული მექანიზმი – მათი ხელქვეითებისა და უშუალოდ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც პარტიაში არიან (ვისაც ისინი ფულს უხდიან) ატყობინებენ მხოლოდ იმას, რაც უფროსს მოეწონება.



***– რუსთაველზე გამოსული ოპოზიცია ამბობს, რომ პარლამენტში არ შევა. 2008 წელსაც არ შევიდნენ, მაგრამ ვერანაირი შედეგი ვერ მივიღეთ. ახლა რა შედეგს მოუტანს ოპოზიციას პარლამენტში არ შესვლა?***

– 2008 წელს მოლაპარაკებაც იყო და ფულიც გადაიხადა ხელისუფლებამ, რომ ზოგიერთები არ შესულიყვნენ პარლამენტში. ახლა მთავარია „ოცნებას“ ნერვებმა არ უმტყუნოს.

***– რას გულისხმობთ?***

– ისე არ მოხდეს, როგორც შარშან, როცა სრულიად ზედმეტი იყო იმის გამოცხადება, მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადავდივართ, აღარ გვექნება ბარიერიო. ეს ივანიშვილს კი არ მოუვიდა თავში, არამედ მის გარშემო მყოფ ახალგაზრდებს, რომლებიც ეუბნებოდნენ, ჩვენ ახლა ველაპარაკეთ ნაცებს და თუ ამას გავაკეთებთ, გაჩერდებიან. ბოკერია და უგულავა ამას ამბობენო და დაარწმუნეს ადამიანი იმაში, რაც არ იყო გასაკეთებელი. გამოცხადდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, რასაც მოჰყვა კრიზისი, განაწყენდნენ მაჟორიტარები, ხმა არ მისცეს და მოჰყვა დიდი სკანდალი.

ახლა მთავარია, ივანიშვილმა არავის დაუჯეროს, უგნურ მოყვარეს თუ ჭკვიან მტერს და მიუშვან, კი ბატონო, გააპროტესტეთ, თუ პარლამენტში არ შევლენ, უნდა თქვან, დასანანია. ამასობაში ყველა საჩივარი უნდა იყოს განხილული კანონის შესაბამისად. თუ მოხდა ისე, რომ კონკრეტულ უბანზე კენჭისყრის შედეგები გასაუქმებელია და ხელახლა არჩევნებს მოითხოვს, ისიც უნდა ჩატარდეს.

მკვეთრად და მკაფიოდ ჩანდეს, რომ პარტია სხვაა, ხოლო ხელისუფლება იცავს კანონს. ამის შემდეგ თუ არ შევლენ, ამით რა? თუ ახალი პარლამენტი ვერ ცნობს თავის უფლებამოსილებას, ძველი ხომ არსებობს.

***– ამით რა გამოჩნდება?***

– ერის ხელში ლუსტრაციაა, როცა ადამიანები უცხოელების გასაგონად, არჩევნების დღეს და მეორე დღეს აპროტესტებენ. არჩევნების დღეს იყო ძალადობა და ძალადობის იმიტაცია, როცა მოკლული და დაჭრილი არავინაა. საავადმყოფოებში არავინაა მიყვანილი. ისიც კი არ ყოფილა, საავადმყოფოებში მიეყვანათ გადახვევისთვის და შემდეგ გაეშვათ, ანუ რა ძალადობა იყო იმისთანა, რომ არავის არაფერი სტკენია. ადრე ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირიდან სისხლი მაინც წამოუვიდა. უცხოელები დადიოდნენ და ჩიორას ცხვირს უყურებდნენ.

# გიორგი რურუას ციხეში პატიმრებმა სცემეს

გიორგი რურუას გუშინ, 2 ნოემბერს, ციხეში სცემეს.

ამის შესახებ ინფორმაცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრმა სალომე სამადაშვილმა გაავრცელა.

როგორც სამადაშვილმა ფორმულას გადაცემაში „კომენტარი" აღნიშნა, მისთვის დეტალები უცნობია, თუმცა ის ამბობს, რომ რურუაზე თავდასხმა ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური დაკვეთა იყო.

— ჩემთვის როგორც ცნობილია, დღეს ბატონ რურუაზე ციხეში განხორციელდა ფიზიკური თავდასხმა, ზუსტად არ ვიცი დეტალები, მაგრამ მას თავს დაესხნენ.

როგორც ჩანს, ეს იყო ციხის შიგნით შეგზავნილი პოლიტიკური დაკვეთა ხელისუფლების მხრიდან. ეს არის ის მეთოდები, რომლებითაც ეს ხელისუფლება მუშაობს, ეს არ არის ჩვეულებრივი პოლიტიკური გუნდი, რომელიც ჩვენს ქვეყანას მართავს, — თქვა სალომე სამადაშვილმა.

გიორგი რურუასთან დაკავშირებულ ინციდენტზე გამოძიება დაწყებულია. ამის შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი.

უწყება ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ დაახლოებით 15:25 სთ-ზე, 1-ელი სარეჟიმო კორპუსის მე-6 ფლიგელში (სადაც 24-საათიანი ელექტრონულ-




ვიზუალური მეთვალყურეობა ხორციელდება) გადაადგილებისას მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბრალდებულმა პ.ნ.-მ.

„2020 წლის 2 ნოემბერს ტელეკომპანია „ფორმულას" ეთერში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა სალომე სამადაშვილმა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ გიორგი რურუაზე განხორციელდა თავდასხმა.

ამასთან დაკავშირებით, სპეციალური პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ 2020 წლის 2 ნოემბერს, №8 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებული გიორგი რურუა, ადვოკატთან ვიზიტის მიზნით გამოყვანილი იყო საკნიდან. დაახლოებით 15:25 სთ-ზე, 1-ელი სარეჟიმო კორპუსის მე-6 ფლიგელში (სადაც 24-საათიანი ელექტრონულ-ვიზუალური მეთვალყურეობა ხორციელდება) გადაადგილებისას მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ბრალდებულმა პ.ნ.-მ, რომელიც იმ დროს იმყოფებოდა იქვე მდებარე სამორიგეო ოთახში და ახორციელებდა სატელეფონო ზარს.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში იქვე ახლოს მდებარე №76 საკანში (ბრალდებულ პ.ნ.-ს საკანში), ტარდებოდა საპირფარეშოს სარემონტო სამუშაო, რის გამოც საკნის კარი იყო ღია. გიორგი რურუას მოცემულ ფლიგელში გადაადგილებისას, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ოფიცერმა მიხურა მითითებული საკნის კარი და იქვე დადგა. როდესაც პ.ნ.-სა და გიორგი რურუას შორის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, ოფიცერი გაიქცა მათ გასაშველებლად, ამ დროს საკნიდან გამოვიდნენ პ.ნ.-ს თანამესაკნეები: ნ.ო., დ.ძ., გ.ჯ. და გ.ც. და მათაც მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა გიორგი რურუას.

ინციდენტი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ იქნა აღკვეთილი, თუმცა ფიზიკური დაპირისპირების შედეგად გიორგი რურუას აღენიშნება სისხლნაჟღენთები სახის არეში.

მას დაწესებულების მორიგე ქირურგის მიერ მაშინვე გაეწია პირველადი სამედიცინო დახმარება.

მომხდართან დაკავშირებით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ გაიგზავნა შეტყობინება საგამოძიებო ორგანოში, დაიწყო გამოძიება. ამჟამად მიმდინარეობს დაკითხვის პროცედურები და კანონით დადგენილი წესით დაარქივებულია მოცემული ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა" — ნათქვამია ინფორმაციაში.

გიორგი რურუას ადვოკატი დიმიტრი საძაგლიშვილი აცხადებს, რომ გიორგი რურუაზე თავდასხმა ხელისუფლებამ „რამდენიმე კრიმინალს დაავალა".

მისივე თქმით, მომხდარ ფაქტს წინ რაიმე შელაპარაკება არ უძღვოდა.

— ეს არ იყო პატიმარზე ერთობლივი თავდასხმა, ეს იყო ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებული თავდასხმა, რაც, ბუნებრივია, დაევალებოდა მათი მითითებების შემსრულებელ 2-3 კრიმინალს. შესაბამისად, მოხდა მასზე ფიზიკური თავდასხმა. გამომდინარე იქიდან, რომ ეს მოხდა არჩევნებიდან ერთ დღეში, ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ორგანიზებული იყო, არანაირი უთანხმოება ან შელაპარაკება არ უძღვოდა წინ ამ ინციდენტს, — განაცხადა დიმიტრი საძაგლიშვილმა.

ადვოკატი დასძენს, რომ ამ დროისთვის გიორგი რურუას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

## „ყველაფერი მოულოდნელად მოხდა"
### სროლა ბათუმში

გუშინ, 2 ნოემბერს, ბათუმში პუშკინისა და ლორიას ქუჩების კვეთაზე მდებარე ვულკანიზაციის მიმდებარედ სროლა იყო. როგორც შემთხვევის ადგილზე მყოფი ადამიანები აცხადებენ, ორმა პირმა ვულკანიზაციის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა.

— მოულოდნელად მოხდა ყველაფერი. სროლის ხმაზე გამოვედით. როგორც გავიგე, ვულკანიზაციაში მყოფ მომხმარებელს ესროლესო. არ ვიცი, რამდენად მართალია. მსუბუქი ავტომობილით იყვნენო, — აცხადებენ თვითმხილველები.

მომხდარზე შსს-მ გამოძიება 126-ე და 236-ე მუხლებით დაიწყო, რაც ძალადობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებას გულისხმობს.

## დევნილთა სააგენტოსთან აფხაზეთიდან დევნილმა მოქალაქემ თავის დაწვა სცადა

დევნილთა სააგენტოსთან მოქალაქემ თავის დაწვა სცადა. ოკუპირებული აფხაზეთიდან დევნილი ქალი სააგენტოსთან საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნით მივიდა და პროტესტის ნიშნად ბენზინი გადაისხა.

ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა იყო მობილიზებული, ტერიტორიაზე მივიდნენ სამართალდამცველებიც.

## იტალიაში ქართველი მამაკაცი ქალის დახრჩობის მცდელობისთვის დააკავეს

იტალიაში 38 წლის ქართველი მამაკაცი ქალზე ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

ბრალდებული ქალის დახრჩობას ცდილობდა, როდესაც ქალმა მოძალადისგან თავის დაღწევა მოახერხა და შეშინებულმა პოლიციას მიმართა. საგამოძიებო მოქმედების შედეგად, შემთხვევაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე მამაკაცი დააკავეს, რომლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. შემთხვევა 28 ოქტომბერს მოხდა.

## სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის ფაქტები გამოავლინეს

სამეგრელოში უაქციზო თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის 3 ფაქტი გამოავლინეს. „ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს დასავლეთის განყოფილების თანამშრომლების მიერ, სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯამში 89 ბლოკი (17.800 ღერი) უაქციზო თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვის 3 ფაქტი გამოვლინდა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი.

სამივე ფაქტზე, საქმის მასალები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 241-ე მუხლის შესაბამისად, ქვემდებარეობით შესაბამის სასამართლოს გადაეგზავნა" — აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ვალერიან ნემსიწვერიძის მკვლელობისთვის მაღაზიის მეპატრონეს ეძებენ




ავჭალაში, ავტომანქანაში ჩაცხრილული ვალერიან ნემსიწვერიძის საქმეზე სავარაუდო დამნაშავეს სამართალდამცავები ამ დრომდე ეძებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსთან" საუბარში ნემსიწვერიძის ოჯახის ადვოკატი ნიკოლოზ წულეისკირი აცხადებს, სავარაუდო დამნაშავე საგამოძიებო ორგანოს შემთხვევის დღესვე ჰყავდა იდენტიფიცირებული.

არსებული ინფორმაციით, რომელსაც ადვოკატიც ადასტურებს, სამართალდამცავები მამაკაცს ეძებენ, რომელიც მკვლელობის ადგილზე მდებარე მაღაზიის მეპატრონეა.

ნიკოლოზ წულეისკირის თქმით, მასზე საგამოძიებო უწყება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გავიდა. ასევე, არსებული ინფორმაციით, სავარაუდო დამნაშავემ საკუთარი ავტომანქანა შემთხვევის ადგილზე დატოვა, თავად კი ფეხით მიიმალა.

მოკლული ვალერიან ნემსიწვერიძის ოჯახის ადვოკატი ამბობს, რომ სამართალდამცავებმა ვასილ ჯანჯღავას საცხოვრებელ სახლში ჩხრეკა ჩაატარეს და მას ამ დრომდე ეძებენ. წულეისკირის თქმითვე, საგამოძიებო უწყებამ 41-მდე ანაბეჭდი, სავარაუდო დამნაშავის დნმ, ასევე სუნის ნიმუშები აიღო.

ადვოკატი ვარაუდობს, რომ მკვლელობა არა წარსულში რაიმე უთანხმოებას, არამედ წამიერ შელაპარაკებას მოჰყვა.

მისივე თქმით, ვალერიან ნემსიწვერიძის გარემოცვა სავარაუდო დამნაშავეს არ იცნობს. შესაბამისად, ოჯახისთვის მკვლელობის მოტივი უცნობია.

ცნობილი, შემთხვევის დღეს ვალერიან ნემსიწვერიძე მეუღლის კუთვნილი ავტომანქანით გადაადგილდებოდა და სახლიდან გასვლის წინ ოჯახის წევრებს უთხრა, რომ მალე დაბრუნდებოდა. მოკლულ მამაკაცს 6 ტყვია ესროლეს, მას ექვსივე თავში ჰქონდა მოხვედრილი.

ავჭალაში, ვალერიან ნემსიწვერიძე ავტომანქანაში ჩაცხრილული ორი კვირის წინ იპოვეს. გამოძიება ორი მუხლით — 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილით, ასევე 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას და განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ვალერიან ნემსიწვერიძე წარსულში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებდა. მას 2004-2008 წლის მოწვევის პარლამენტის დეპუტატის კახა გიუაშვილის მკვლელობის დაგეგმვას ედავებოდნენ, რომელიც საქმის ფიგურანტ დავით მინდაძეს უნდა შეესრულებინა.

მოგვიანებით დავით მინდაძემ და ვალერიან ნემსიწვერიძემ საქართველოს სტრასბურში უჩივლეს. ისინი არაადამიანურ მოპყრობასა და წამებას ასაჩივრებდნენ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მათი საჩივარი დააკმაყოფილა. ვალერიან ნემსიწვერიძე 2013 წელს, ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდა.

## თბილისის საქალაქო სასამართლოს დროებით სერგო მეთოფიშვილი უხელმძღვანელებს

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად მოსამართლე სერგო მეთოფიშვილი დაინიშნა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დღევანდელ სხდომაზე მიიღო.

მეთოფიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განუსაზღვრელი ვადით დაინიშნა.



სერგო მეთოფიშვილის კანდიდატურა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მარსაგიშვილმა დაასახელა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის საჭიროება დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ნიკოლოზ მარსაგიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად დაინიშნა.

ცნობისთვის, სერგო მეთოფიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეა.

— სერგო მეთოფიშვილი ერთ-ერთი მთავარი აქტორი იყო და ერთ-ერთი ისეთი პირი, რომელიც ძალიან ცუდ საქმეს აკეთებდა ჩვენი ქვეყნის სასამართლო სისტემისთვის.

ასე აფასებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი სერგო მეთოფიშვილის დანიშვნას.

როგორც ჯანეზაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ეს პრობლემური საკითხია, ვინაიდან მეთოფიშვილი ამ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით დაინიშნა. ამასთან, მისივე თქმით, კანონმდებლობის თანახმად, თავმჯდომარის დანიშვნისთვის იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და მოსამართლეებთან კონსულტაციები უნდა გაიაროს იმავე სასამართლოში, სადაც თავმჯდომარე ინიშნება.

ნაზი ჯანეზაშვილის განმარტებით, ამ შემთხვევაში კონსულტაციები ფორმალურადაც კი არ ჩატარებულა მოსამართლეებთან და არც დასაბუთებული გადაწყვეტილება მიუღია საბჭოს.

— რაც შეეხება პერსონალურად სერგო მეთოფიშვილს, ეს ცალკე საკითხია, რამდენად არის ყველაზე გამორჩეული, ღვაწლმოსილი სერგო მეთოფიშვილი იმ სასამართლოში, სადაც 100-ზე მეტი მოსამართლეა. როგორც იცით, მისი იუსტიციის საბჭოში საქმიანობა ძალიან ბევრ კითხვას აჩენდა. ის იყო იმ გარიგებების, პროცესების და მანკიერი პრაქტიკის მონაწილე, რასაც იუსტიციის საბჭოს მოსამართლეთა უმრავლესობა ახორციელებდა. სერგო მეთოფიშვილი ერთ-ერთი მთავარი აქტორი იყო და ერთ-ერთი ისეთი პირი, რომელიც ძალიან ცუდ საქმეს აკეთებდა ჩვენი ქვეყნის სასამართლო სისტემისთვის.

ამიტომ, გარდა იმისა, რომ დანიშვნის პროცესია პრობლემური და მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით ის, ფაქტობრივად, სრულყოფილად იქნება სასამართლოს თავმჯდომარე, ასევე პრობლემურია ეს პერსონა, ვინაიდან, ვფიქრობ, რომ ის სულაც არ არის ყველაზე გამორჩეული მოსამართლე, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ამ სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლო ყველაზე დიდი და დატვირთული სასამართლოა მთელს ქვეყანაში, — განაცხადა ჯანეზაშვილმა.

## ფონიჭალასთან ბმვ ტოიოტას დაეჯახა
### მძღოლები კლინიკაში გადაიყვანეს

1 ნოემბერს ავარია მოხდა რუსთავი-თბილისის ავტობანზე.

ჩქაროსნულ მაგისტრალზე, ფონიჭალასთან ერთმანეთს ტოიოტასა და ბმვ-ს მარკის ავტომობილები დაეჯახნენ. ავარიის შედეგად ავტომობილების მძღოლები დაშავდნენ, მათი გადაყვანა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებმა უახლოეს კლინიკებში მოახერხეს.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

## სოფელ შავშვებთან მომხდარი ავარიის ფაქტზე 1 პირს ბრალი წარედგინა

საქართველოს პროკურატურამ გორის რაიონის სოფელ შავშვებთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე, რამაც 6 ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, დაკავებულ თურქეთის მოქალაქე მ.ს.-ს ბრალდება წარუდგინა და ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით გორის რაიონულ სასამართლოს უკვე მიმართა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 29 ოქტომბერს, დაახლოებით 23:30 საათზე თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 77-ე კილომეტრზე, გორის რაიონის სოფელ შავშვებთან გამავალ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, მარჯვენა სამოძრაო ზოლში, დასავლეთის მიმართულებით მოძრავმა სატვირთო ავტომობილის მძღოლმა მ.ს.-მ ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მართვა, დაარღვია „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები და ყოველგვარი ხელისშემშლელი გარემოებების გარეშე გადავიდა საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სადაც შეეჯახა სარეზერვო ზოლში გაჩერებულ სამგზავრო მიკროავტობუსს. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიკროავტობუსის მძღოლი ბ.რ. და მისი მგზავრები — ო.ჯ., ბ.შ., ი.გ., ე.ა. და გ.ჯ. გარდაიცვალნენ.

სამართალდამცველებმა, მ.ს. 2020 წლის 30 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით (ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება" — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

2020, 3 ნოემბერი, №229

# ტრამპი თუ ბაიდენი

## აშშ ახალ პრეზიდენტს ირჩევს





აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი დღე დარჩა. ძალთა განლაგება უცვლელია. დონალდ ტრამპს მხარს 40% უჭერს, ბაიდენს – 59%. უპირატესობა აშკარაა. ამიტომ ტრამპი მთავარ იმედს ამომრჩეველთა კოლეგიაზე ამყარებს.

ბაიდენი მოყოყმანე შტატებს უდიდეს ყურადღებას უთმობს. მას არ სურს, რომ ტრამპმა თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს. არჩევნებამდე ორი დღით ადრე ტრამპი და ბაიდენი სწორედ მოყოყმანე შტატებს ესტუმრნენ. ესენია ვისკონსინი, მიჩიგანი და პენსილვანია.

ტრამპი პენსილვანიაში თავის ამომრჩევლებს შეხვდა. წინასაარჩევნო მიტინგი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ის 25.000 ადამიანს ითვლიდა.

– დიდი მადლობა, რომ პანდემიის მიუხედავად ხალხი ჩვენს მიტინგზე მოვიდა! – ტრამპის ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომელთა გამკლავებაც აშშ-ს უახლოეს წლებში მოუწევს. მან განსაკუთრებით გამოჰყო რუსეთის და ჩინეთის ფაქტორი.

– ბაიდენის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ისმის კითხვა: გაართმევს ის ამას თავს? ჩემი აზრით, ვერა! მთავარი სიტყვა თქვენ, ანუ ხალხმა უნდა თქვათ! – ტრამპის ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

ბაიდენი კი მიჩიგანის შტატში ჩავიდა. მას თან ახლდა ყოფილი პრეზიდენტი ბარაქ ობამა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ობამა მასთან ერთად გამოვიდა მიტინგზე. ბაიდენსა და ობამას პოპულარული მომღერალი სტივ უანდერიც შეუერთდა.

– მე ხმას ბაიდენს ვაძლევ! – გამოაცხადა უანდერმა.

ამ სიტყვებს აპლოდისმენტები მოჰყვა.

სტივ უანდერმა მონაწილეობა მიიღო ავტოგარბენში, რომელიც მიჩიგანის შტატის ტერიტორიაზე გაიმართა. გარბენი აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებს მიეძღვნა. ის უშუალოდ ბაიდენის მხარდასაჭერად იყო გამართული.

– ისმის კითხვა: განვლილი 4 წლის განმავლობაში აშშ წინ წავიდა თუ უკან? არც წინ წავსულვართ და არც უკან! ჩვენ ერთ ადგილას ვდგავართ! პიროვნება, რომელიც ქვეყანას წინ წაიყვანს, ბაიდენია! – გამოაცხადა სტივ უანდერმა.

# კონტე: „მუზეუმებს, გამოფენებსა და სავაჭრო ცენტრებს ვხურავთ“



კორონავირუსის შემთხვევების ზრდის გამო იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯუზეპე კონტე ახალი შეზღუდვების დაწესებას გეგმავს. ამის შესახებ მან მედიასთან საუბრისას განაცხადა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ინფიცირების მაღალი რისკის მქონე რეგიონებში ღამის საათებში გადაადგილება შეიზღუდება.

– ჩვენ არ გვსურს, ახალი შეზღუდვები მთელი ქვეყნის მასშტაბით დავაწესოთ. რეგულაციები გამკაცრდება იქ, სადაც ვირუსის შემთხვევები განსაკუთრებით მაღალია. ამავდროულად, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიხურება მუზეუმები, გამოფენები და სავაჭრო ცენტრები, – განაცხადა მან. ბოლო მონაცემებით, იტალიაში კორნავირუსის 709.000-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება, ვირუსს 38.800 ადამიანი ემსხვერპლა.

# 65 საათი ნანგრევებში

## თურქმა მაშველებმა 3 წლის გოგონა გადაარჩინეს



თურქმა მაშველებმა 3 წლის გოგონა გადაარჩინეს, რომელიც ნანგრევებში 65 საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

3 წლის ელიფ ფერინჩეკი 106-ე ადამიანია, რომელიც მაშველებმა მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შენობების ნანგრევებიდან ცოცხალი ამოიყვანეს.

გოგონა საავადმყოფოშია გადაყვანილი.

თურქეთში 30 ოქტომბერს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 79-მდე გაიზარდა. დაშავებულია 900-ზე მეტი ადამიანი.

# მინსკში უკვე ჰაერში ისვრიან



ბელარუსში საპროტესტო აქციები არ წყდება. კვირას ჩატარდა ტრადიციული მსვლელობა სახელწოდებით „შეწყდეს ტერორი“. მასში 130.000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მანიფესტანტები გაემართნენ კუროპატისკენ, სადაც სტალინური ტერორის მსხვერპლთა მემორიალია. ომონმა მათ გზა გადაუღობა. მოხდა შეტაკება. ომონმა გამოიყენა ხელკეტები და გაზი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მანიფესტანტებმა მილიციის კორდონი გაარღვიეს და გზა განაგრძეს. ამის შემდეგ მსვლელობას გზა ომონის უფრო დიდმა ჯგუფმა გადაუღობა. კვლავ მოხდა შეტაკება. მილიციამ ჰაერში ისროლა. მიუხედავად ამისა, მანიფესტანტებმა რკალი მაინც გაარღვიეს, სტალინური ტერორის მსხვერპლთა მემორიალთან მივიდნენ და იქ სანთლები დაანთეს. შეტაკების შედეგად დაშავებულია 30 ადამიანი. დაკავებულია 190.

# მოლდოვის პრეზიდენტობისთვის დოდონი და სანდუ იბრძოლებენ

მოლდოვაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. მოქმედ პრეზიდენტს, პრორუსული ორიენტაციის დოდონს, 7 კანდიდატი დაუპირისპირდა. აქედან ყველაზე ძლიერი პროდასავლური ორიენტაციის ტექნოკრატი მაია სანდუა. ძირითადი ბრძოლაც ამ 2 კანდიდატს შორის წარიმართა.

მაია სანდუმ ხმების 34% მიიღო, დოდონმა – 33%. ასე რომ, გაიმართება მეორე ტური.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მეთევზემ 320 კილოგრამიანი ვეფხვისებური ზვიგენი დაიჭირა



ავსტრალიელმა მეთევზემ 320 კილოგრამიანი ვეფხვისებური ზვიგენი დაიჭირა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

2,74 მეტრი სიგრძის მტაცებელი თევზი დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ მანჯერას მცხოვრების მაიკლ დრაიპერის ანკესზე წამოეგო, რომელიც ხმელეთიდან თევზაობდა.

– ასეთი ზომის ვეფხვისებური ზვიგენების დაჭერა აკრძალულია და ისინი მაშინვე უნდა დააბრუნონ ბუნებაში, – განაცხადა დრაიპერმა, – მაგრამ ეს ზვიგენი თავგანწირვით მიწევდა წინააღმდეგობას, ნაპირიდან 150 მეტრში ხშირ წყლის მცენარეებში გაიხლართა და ძალა გამოეცალა.

მეთევზეს და მის მეგობრებს 80 წუთი დასჭირდათ ზვიგენის წყლიდან ამოსაყვანად. შემდეგ ისინი მას მისცვივდნენ პირიდან ნემსკავის მოსახსნელად და წყალში დასაბრუნებლად. დრაიპერის თქმით, ზვიგენმა ხმელეთზე სულ 50 წამი დაჰყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# რეზო ჩხიკვიშვილი ახალი სერიალით ბრუნდება



„სეანსი“ – ასე ეწოდება ახალ ქართულ სერიალს, რომელშიც მთავარ როლს მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი შეასრულებს.

„ნოვა პროდაქშენისა“ და საქართველოს პირველი არხის ერთობლივ პროდუქტს არხის მაყურებელი ნოემბრიდან იხილავს. ის ეკრანებზე 2008 წელს გამოსული ცნობილი ამერიკული სერიალის „ინ თრითმენთის“ ქართული ანალოგია. სერიალი ფსიქოთერაპევტსა და მისი პაციენტების ისტორიებზე გვიყვება. დეპრესია, გაუცხოება, განქორწინება – ეს ის პრობლემებია, რომლებიც ფსიქოლოგიური დრამა „სეანსის“ გმირებს აწუხებთ.

ახალ სერიალში ფსიქოლოგისა და პაციენტების როლებს ყველასთვის კარგად ნაცნობი ქართველი მსახიობები შეასრულებენ. სერიალის რეჟისორი თინათინ გურჩიანია. „სეანსში“ მონაწილეობენ ია სუხიტაშვილი, ნინო კასრაძე, პაატა ინაური და სხვა ცნობილი მსახიობები.

# თეა დემურიშვილი: „არავის წუწუნი აღარ გავიგო!“



ოპერის მომღერალი თეა დემურიშვილი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება და საჯაროდ აფრთხილებს ყველას, რომ მათი წუწუნის გაგება არ სურს:

– არავის წუწუნი აღარ გავიგო ! „ყველაფერი გაძვირდა. რა გვეშველება. წამალს ვერ ვყიდულობთ. საზღვრები გადმოწიეს. ლარი რა დღეშია და ასე შემდეგ...“ რისი ღირსნიც ვართ, ის გვაქვს! გიხაროდენ!

# ისრაელში შოთა რუსთაველის ბიუსტი დადგეს




ისრაელში, ქალაქ კირიათ ბიალიკში შოთა რუსთაველის ბიუსტი დაიდგა. ეს არის შოთა რუსთაველის მეორე ბიუსტი, რომელიც ისრაელში დაიდგა.

ინფორმაცია მწერალმა და პოეტმა დავით შემოქმედელმა გაავრცელა:

– მძიმე ეპიდემიისა და ამ დაძაბულ ამღვრეულ პოლიტიკურ ფონზე საქართველოს რუსთაველის საზოგადოება ერთ სასიამოვნო სიახლეს გაგაცნობთ. ისრაელში, ქალაქ კირიათ ბიალიკში დაიდგა შოთა რუსთაველის ბიუსტი.

როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება, დაგეგმილია საზეიმოდ ამ ბიუსტის გახსნა. ამ დიდი საქმის რეალურად განმხორციელებლები არიან: რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ექიმი, პოეტი მერაბ კვიცარიძე და საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქალაქ კირიათ ბიალიკის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, ისრაელში ქართული კულტურის პოპულარიზატორი, ისრაელში მოღვაწე ქართველ ხელოვანთა ასოციაციის ,,ნერგის“ პრეზიდენტი, ქორეოგრაფი შოთა წვენიაშვილი.

ეს კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია ოცდაექვსსაუკუნოვანი ქართულ-ებრაული მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

# ნიკოლოზ რაჭველი: „რა უბედურებაა ეს ტერმინი „გაყალბება“ ისეთ დროში, როდესაც ნასა და ილონ მასკი ერთმანეთს ინოვაციურ შედეგებში ეჯიბრებიან“



კითხულობს დირიჟორი ნიკოლოზ რაჭველი და საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს ინტერნეტით ეხმაურება:

– 2020 წელს, მაშინ როდესაც, ტექნოლოგიური პროგრესი ზენიტშია, მაშინ როდესაც, ციფრული მხარდაჭერა უამრავ ახალ შესაძლებლობას ხსნის, მაშინ როდესაც, ტელეფონით შეგვიძლია საბანკო საქმიანობის უსაფრთხოდ წარმართვა, მაშინ როდესაც, ლამის მთელს მსოფლიოში სწავლა თუ შემოქმედება ონლაინ რეჟიმს ირგებს, ნუთუ არ შეიძლებოდა დანერგილიყო არჩევნების ისეთი პროცედურა, რომელიც ისევ ამ ფურცლებით, ხაზვებით, ხატვებით, მერე ტელეფონით ფოტოსურათების გადაღებებით არ მიცემდა საშუალებას შედეგების ლეგიტიმაციის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგომას? ან ე.წ. საარჩევნო კარუსელების არსებობას...

ნუთუ 21-ე საუკუნეში არ უნდა არსებობდეს ისეთი დახვეწილი ხერხი, რომელიც მინიმუმზე დაიყვანს იმას, რაც ახლა თუნდაც საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესებში ხდება?

შესაძლოა მე დილეტანტი ვარ და ამიტომ მებადება ეს კითხვა, მაგრამ რა ვქნა, მგონია, რომ ბევრს ეს არ აწყობს, არა მარტო აქ, საქართველოში, არამედ მსოფლიოში...

აბა, რა უბედურებაა ეს ტერმინი „გაყალბება“ ისეთ დროში, როდესაც ნასა და ილონ მასკი ერთმანეთს ინოვაციურ შედეგებში ეჭიშპებიან.

ჩემი აზრით, ეს იგივეა, ფაქსით, საბეჭდი მანქანებით და საანგარიშო „ჩოთქებით“ რომ ვაგრძელებდეთ ცხოვრებას და ოპერირებას.

# კომპანია „არემჯი“ შუა საუკუნეების ძეგლის დაშლას და გადატანას ითხოვს

კომპანია „არემჯი“ შუა საუკუნეების ძეგლის დაშლას და გადატანას ითხოვს, რომელიც ისტორიულ აბულმუგში დმანისისა და ბოლნისის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარეობს.




ინფორმაცია ჟურნალისტმა ნინო მიქიაშვილმა გაავრცელა:

– არ დაუშვათ! თორემ ხვალ-ზეგ იქვე ახლოს მდებარე ტაძრებს მიადგებიან – შუა საუკუნეების ამ ძეგლის, ისტორიული აბანოს დაშლას და გადატანას ითხოვს სახელმწიფოსგან დანაშაულებრივი კომპანია „არემჯი“.

დილა რომ გათენდება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსგან იმ სპეციალისტების ვინაობას წერილობით გამოვითხოვ, ვინც ამ საკითხზე პოზიცია უნდა დააფიქსიროს, ან უკვე დააფიქსირა.

ამ ძეგლის ირგვლივ უამრავი ვიდეო, ახალი ამბავი და ფოტო მაქვს გამოქვეყნებული. იმედია გახსოვთ, რომ აბანო ისტორიულ აბულმუგში მდებარეობს, დმანისისა და ბოლნისის ადმინისტრაციულ საზღვართან.

ეს ფოტო 2014 წლის 3 მაისს გადავუღე ისტორიულ აბანოს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სუპერლიგაში ოთხი დაუმარცხებელია

**კაკტუსი-რუსთავი 72:88**
**(17:18, 22:17, 20:22, 13:31)**

მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა ქვემოქართლურმა გუნდმა დასკვნითი ათწუთეული 31:13 მოიგო და საბოლოოდ საკუთარ გამარჯვებას სოლიდური სახე მისცა – 88:72.

არადა, სამაი ჰეინს-ჯონსის წინამძღოლობით კაკტუსელებს 3 პერიოდის განმავლობაში არ უჭირდათ. პირველი პერიოდის 17:18 წაგების შემდეგ, არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ინიციატივა მოიპოვეს, რაც ანგარიშშიც ასახეს და დაწინაურდნენ. მეორე მეოთხედი თბილისურმა გუნდმა 22:17 მოიგო და დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 39:35.

მესამე პერიოდი თანაბარი გამოდგა. რუსთაველებმა ჩამორჩენის 2 ქულით შემცირება მოახერხეს და ცხადი გახდა, რომელიც ბოლო პერიოდში იმარჯვებდა, ის გუნდი მოიგებდა. რუსთავმა დასკვნითი ათწუთეული მაღალ დონეზე ჩაატარა და კაკტუსელებისთვის შანსი არ მიუცია. გუნდური თამაშის წყალობით ქვემოქართლელებმა პერიოდი 18 ქულის სხვაობით მოიგეს და სუპერლიგაში მე-2 გამარჯვება მოიპოვეს. ქვემოქართლელთა შორის 16 ქულითა და 19 მოხსნით საუკეთესო იყო ჯილან ვაშინგტონი. გუგა პატაშურმა 22 ქულა მოაგროვა, მაიკლ დევისის ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა. კაკტუსში 30 ქულით ჰეინს-ჯონსი გამოირჩა. 16 ქულა სანდრო სანაძის ანგარიშზე დაგროვდა.

**ვერა-ტიტები 57:65**
**(17:12, 8:12, 12:20, 20:21)**

მატჩი მწირქულიანი გამოდგა, რომელშიც მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილმა ტიტებმა 65:57 სძლია ვერას და 2-დან 2 მოგებით იმ 4 გუნდს შორისაა, რომლებსაც სუპერლიგაში ქულები არ დაუკარგავთ.

შეხვედრა საკმაოდ ხარვეზებით დატვირთული გამოდგა. ანგარიში რომ



ნელა იზრდებოდა, ეს გუნდების დაცვაში ყოჩაღობის დამსახურება ნაკლებად იყო. უფრო მეტი ტექნიკური წუნი და აცილებული ბურთები გახლდათ, რაც ანგარიშის გაზრდას ხელს უშლიდა. პირველი პერიოდი ვერამ 17:12 მოიგო, ხოლო მეორეში ტიტებმა 12:8 იმარჯვეს და დიდი შესვენებისთვის ანგარიში 25:24 იყო ვერელთა სასარგებლოდ.

მესამე პერიოდიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და კვანძი ბოლოსკენ გაიხსნა. პერიოდის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ვერა 37:36 ლიდერობდა, როცა ტიტების ამერიკელი ფორვარდის, ტაილან ბირდსის დრო დადგა. მან ზედიზედ 7 ქულა მოაგროვა და ბოლო პერიოდის წინ მარკოიშვილის გუნდი 44:37 დაწინაურდა.

ტიტებმა ბოლო პერიოდშიც გააგრძელა შედეგიანი თამაში და გიორგი ჯაფარიძის ზედიზედ 2 ზუსტი სამქულიანის შემდეგ 50:37 გალიდერდა. აქ ვერელები საბოლოოდ გატყდნენ და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

გამარჯვებულებს 17 ქულითა და 8 მოხსნით ბირდსმა ულიდერა. 16 ქულა და 13 მოხსნა ბრენდან აუგბორნსმა მიითვალა, 9 ქულა, 5 ქულა და 5 პასი ჯორდონ თალის დაუგროვდა. ვერელთაგან 20 ქულით საუკეთესო იყო ვახტანგ ქადარია, გივი ბაქრაძემ შეხვედრა 15 ქულით, 6 მოხსნითა და 6 პასით დაასრულა.

**ოლიმპი – ცხუმ-აფხაზეთი 55:88**
**(7:29, 13:22, 27:22, 8:15)**

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა ცხუმ-აფხაზეთმა 88:55 დაამარცხა ოლიმპი. 3 ტურის შემდეგ ეს გახლდათ ცხუმელების მე-2 გამარჯვება, ხოლო ოლიმპელები სამივე წაგებით აუტსაიდერთა შორის არიან.

ანგარიშიდან კარგად ჩანს, რომ ბრძოლა არ შედგა. ცხუმ-აფხაზეთი თავიდანვე დაწინაურდა, სოლიდური უპირატესობა მოიპოვა და მთელი თამაში ისე იგებდა, საფრთხე 1 წუთითაც არ დამუქრებია. შეხვედრა ისე დაიწყო, ბოლო წლებში ანალოგი რომ ძნელად მოეძებნება. ცხუმ-აფხაზეთი შეხვედრის მე-6 წუთზე 20:0 იგებდა: ოლიმპმა თამაშში პირველი ბურთი პირველი პერიოდის დასრულებამდე 4:25 წუთით ადრე ჩააგდო. ცხუმ-აფხაზეთს გამოსდიოდა ყველაფერი, დიმიტრი ჯაკობოვის გუნდს კი – თითქმის არაფერი. პირველი ნახევარი ისე ჩამთავრდა, მოედანზე არაფერი შეცვლილა – 51:20 ცხუმ-აფხაზეთის სასარგებლოდ, რომელმაც გამარჯვება ფაქტობრივად დიდი შესვენებისთვის გაიფორმა. ვინც კი მოედანზე იყო, ცხუმელთაგან ყველამ ჩინებულად ითამაშა. განსაკუთრებით საქებარია გუნდის ამერიკელი ლეგიონერი ტაილერ გრინი, რომელმაც წინა 2 მატჩში ჯამში 4 ქულა ჩააგდო. ოლიმპთან კი, ერთ-ერთი საუკეთესო იყო და 17 ქულას 5 პასი და 4 მოხსნა მოაყოლა. ცხუმელთა ფარქვეშა ბურჯი გიორგი შარაბიძე გახლდათ, ალექსანდრე ფევაძე კი უნივერსალურად ირჯებოდა – შედეგიანი იყო როგორც პერიმეტრიდან, ისე სამწამიან ზონაში. საბოლოოდ 18 ქულით ბომბარდირი შარაბიძე გახდა, ხოლო საერთო სარგებლიანობით ფევაძემ ყველას აჯობა – 16 ქულა, 18 მოხსნა, 3 პასი. 12 ქულა 4 სამქულიანით მოაგროვა ნოდარ გოგოძემ. ოლიმპში 18 ქულით კენდრიკ ტომპსონი გამოირჩა, 13 ქულა და 14 მოხსნა ლუკა კალატოზიშვილმა დააგროვა.

# შერმადინი ესპანეთში ყოჩაღობს, შენგელია ენისეის უგებს

გიორგი შერმადინის ჩინებული თამაშის მიუხედავად, ტენერიფე კატალონიაში, ბარსელონასთან დამარცხდა. 6 მოგების შემდეგ ეს გახლდათ ტენერიფელთა პირველი მარცხი ესპანეთის ჩემპიონატში – 74:81. კანარელებმა პირველ პერიოდში ერთქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ შემდეგ მე-2 მეოთხედი ჩააგდეს (12:22) და დარჩენილ დროში ვითარება ველარ გამოასწორეს.

ქართველი ფორვარდი მოედანზე მყოფთაგან ყველაზე საუკეთესო იყო. შერმადინი სასტარტო ხუთეულ-



ში იყო და მოედანზე გატარებულ 27 წუთში 19 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება დააგროვა. გიორგიმ 12-დან 8 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, მისმა საერთო სარგებლიანობის ინდექსმა კი, 25-ს უწია, რაც საუკეთესო მაჩვენებელი იყო მატჩში.

ბარსელონაში ალექს აბრინესმა 16 ქულა ჩააგდო, ნიკოლა მიროტიჩმა კი, 13 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა. კატალონიელთა ბერძენი ლიდერის, ნიკა კალატესის დიდი წვლილიცაა გამარჯვებაში, რომელმაც 14 ქულას 5-5 მოხსნა და პასი დაამატა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გახლდათ პირველი მარცხი, ტენერიფე ცხრილში მე-5 ადგილამდე დაქვეითდა და ამის მიზეზი 2 გამოტოვებული მატჩია. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში შერმადინის გუნდი ბეტისს უმასპინძლებს.

ძალიან დაგვწყვიტა გული მოსკოვის ცსკა-ში გადასვლით თორნიკე შენგელიამ. რუსული არმიის გუნდს რომ თავი დავანებოთ, ბარსელონის, ანაც მადრიდიეს რეალისა და სხვა ესპანური გრანდების ნაცვლად, ახლა ავტორებსა და ენისეებს ეთამაშება. პლუს ცსკა დიდი ანგარიშებით იგებს მატჩებს, თორნიკეს კი ცოტა დრო ეძლევა. შედეგად, მისი შედეგიანობაც იკლებს.

ცსკა-მ ვითიბი ლიგის ბოლო ტურში კრასნოიარსკის ენისეის უმასპინძლა და დიდი სხვაობით დაამარცხა – 109:60. რაც მოსკოვურ გუნდში გადავიდა, ეს გახლდათ შენგელიას ყველაზე შედეგიანი მატჩი. 16 ქულა თორნიკეს პირადი რეკორდია არმიულ კლუბში.

თორნიკემ მხოლოდ 18 წუთი ითამაშა, თუმცა 16 ქულის ჩაგდება მაინც მოახერხა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე იყო 6 პასი, 2 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება. სროლის სიზუსტე: 5-დან 3 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი, 6-დან 4 საჯარიმო. მოსკოველებს ვითიბი ლიგაზე 5 ტურის შემდეგ 4 მოგება აქვთ.

არმიელებს უახლოესი მატჩი ევროლიგაზე ელით – პანათინაიკოსთან ათენში ითამაშებენ.

# შედეგები

## 1 ნოემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-საუთჰემპტონი ......... 3:4
ნიუკასლი-ევერტონი .................... 2:1
მანჩესტერი-არსენალი ................. 0:1
ტოტენჰემი-ბრაიტონი .................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 7 | 5 | 1 | 1 | 17-15 | 16 |
| 2.ტოტენჰემი | 7 | 4 | 2 | 1 | 18-9 | 14 |
| 3.ევერტონი | 7 | 4 | 1 | 2 | 15-11 | 13 |
| 4.საუთჰემპტონი | 7 | 4 | 1 | 2 | 14-12 | 13 |
| 5.ვულვზი | 7 | 4 | 1 | 2 | 8-8 | 13 |
| 6.ჩელსი | 7 | 3 | 3 | 1 | 16-9 | 12 |
| 7.ასტონ ვილა | 6 | 4 | 0 | 2 | 15-8 | 12 |
| 8.ლესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 13-8 | 12 |
| 9.არსენალი | 7 | 4 | 0 | 3 | 9-7 | 12 |
| 10.სიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-8 | 11 |
| 11.ნიუკასლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-11 | 11 |
| 12.ლიდსი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-9 | 10 |
| 13.კრ.პალასი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-11 | 10 |
| 14.ვესტ ჰემი | 7 | 2 | 2 | 3 | 13-10 | 8 |
| 15.მანჩესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-13 | 7 |
| 16.ბრაიტონი | 7 | 1 | 2 | 4 | 11-14 | 5 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 6 | 0 | 3 | 3 | 6-14 | 3 |
| 18.შეფილდი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-10 | 1 |
| 19.ფულემი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-14 | 1 |
| 20.ბარნლი | 6 | 0 | 1 | 5 | 3-12 | 1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ფრაიბურგი-ლევერკუზენი ........... 2:4
ჰერტა-ვოლფსბურგი .................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 6 | 5 | 0 | 1 | 24-9 | 15 |
| 2.დორტმუნდი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-2 | 15 |
| 3.ლაიფციგი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 4.ლევერკუზენი | 6 | 3 | 3 | 0 | 10-5 | 12 |
| 5.გლადბახი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-8 | 11 |
| 6.აუგსბურგი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 7.შტუტგარტი | 6 | 2 | 3 | 1 | 11-7 | 9 |
| 8.ვერდერი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-8 | 9 |
| 9.აინტრახტი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-10 | 9 |
| 10.ვოლფსბურგი | 6 | 1 | 5 | 0 | 5-4 | 8 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 12.უნიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-6 | 6 |
| 13.ფრაიბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 8-13 | 6 |
| 14.ჰერტა | 6 | 1 | 1 | 4 | 10-13 | 4 |
| 15.არმინია | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 16.კიოლნი | 6 | 0 | 2 | 4 | 6-11 | 2 |
| 17.შალკე | 6 | 0 | 2 | 4 | 3-20 | 2 |
| 18.მაინცი | 6 | 0 | 0 | 6 | 5-18 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ვიურცბურგერი-ბოხუმი ............... 2:3
ფიურტი-ჰანოვერი ...................... 4:1
კარლსრუე-დარმშტადი ............... 3:4

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბეტისი-ელჩე ............................. 3:1
სელტა-სოსიედადი ...................... 1:4
გრანადა-ლევანტე ...................... 1:1
ვალენსია-ხეტაფე ....................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სოსიედადი | 8 | 5 | 2 | 1 | 18-4 | 17 |
| 2.რეალი | 7 | 5 | 1 | 1 | 13-5 | 16 |
| 3.ატლეტიკო | 6 | 4 | 2 | 0 | 13-2 | 14 |
| 4.კადისი | 8 | 4 | 2 | 2 | 8-6 | 14 |
| 5.გრანადა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-9 | 14 |
| 6.ვილიარეალი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-8 | 12 |
| 7.ბეტისი | 8 | 4 | 0 | 4 | 10-12 | 12 |
| 8.ხეტაფე | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 11 |
| 9.ოსასუნა | 7 | 3 | 1 | 3 | 7-7 | 10 |
| 10.ელჩე | 6 | 3 | 1 | 2 | 6-7 | 10 |
| 11.ბილბაო | 7 | 3 | 0 | 4 | 6-7 | 9 |
| 12.ბარსელონა | 6 | 2 | 2 | 2 | 10-6 | 8 |
| 13.ვალენსია | 8 | 2 | 2 | 4 | 11-13 | 8 |
| 14.ალავესი | 8 | 2 | 2 | 4 | 6-9 | 8 |
| 15.ეიბარი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-8 | 8 |
| 16.სევილია | 6 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| 17.სელტა | 8 | 1 | 3 | 4 | 5-14 | 6 |
| 18.ლევანტე | 7 | 1 | 2 | 4 | 7-12 | 5 |
| 19.უესკა | 8 | 0 | 5 | 3 | 6-14 | 5 |
| 20.ვალიადოლიდი | 7 | 0 | 3 | 4 | 5-11 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ლეგანესი-მირანდესი .................... 1:0
სარაგოსა-მალიორკა .................... 0:0
პონფერადინა-საბადელი ............... 0:3
ფუენლაბრადა-ტენერიფე............. 1:1
ლუგო-რაიო ................................ 1:0
ალმერია-ხირონა ......................... 0:0

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-მილანი ........................ 1:2
სპეცია-იუვენტუსი ...................... 1:4
ტორინო-ლაციო .......................... 3:4
ნაპოლი-სასუოლო ....................... 0:2
რომა-ფიორენტინა ...................... 2:0
სამპდორია-ჯენოა ....................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-5 | 16 |
| 4.სასუოლო | 6 | 4 | 2 | 0 | 18-9 | 14 |
| 6.იუვენტუსი | 6 | 3 | 3 | 0 | 14-5 | 12 |
| 2.ატალანტა | 6 | 4 | 0 | 2 | 17-13 | 12 |
| 3.ნაპოლი | 6 | 4 | 0 | 2 | 14-7 | 11 |
| 5.ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-10 | 11 |
| 9.რომა | 6 | 3 | 2 | 1 | 13-10 | 11 |
| 7.სამპდორია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 10 |
| 12.ლაციო | 6 | 3 | 1 | 2 | 10-12 | 10 |
| 8.ვერონა | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 10.ფიორენტინა | 6 | 2 | 1 | 3 | 10-12 | 7 |
| 11.კალიარი | 6 | 2 | 1 | 3 | 12-15 | 7 |
| 13.ბოლონია | 6 | 2 | 0 | 4 | 11-12 | 6 |
| 14.ბენევენტო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-14 | 6 |
| 15.სპეცია | 6 | 1 | 2 | 3 | 8-15 | 5 |
| 16.პარმა | 6 | 1 | 2 | 3 | 8-13 | 5 |
| 17.ჯენოა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-10 | 5 |
| 18.უდინეზე | 6 | 1 | 0 | 5 | 6-11 | 3 |
| 19.ტორინო | 5 | 0 | 1 | 4 | 10-15 | 1 |
| 20.კროტონე | 6 | 0 | 1 | 5 | 6-17 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

რეჯინა-სპალი ........................... 0:1
ფროზინონე-კრემონეზე .............. 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

სტ.ეტიენი-მონპელიე .................. 0:1
ანჟე-ნიცა ................................... 0:3
დიჟონი-ლორიანი ........................ 0:0
ნიმი-მეცი ................................... 0:1
რეიმსი-სტრასბური ..................... 2:1
მონაკო-ბორდო .......................... 4:0
ლილი-ლიონი .............................. 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 9 | 7 | 0 | 2 | 23-3 | 21 |
| 2.ლილი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-4 | 19 |
| 3.რენი | 9 | 5 | 3 | 1 | 18-11 | 18 |
| 4.ნიცა | 9 | 5 | 2 | 2 | 14-10 | 17 |
| 5.მარსელი | 8 | 4 | 3 | 1 | 11-8 | 15 |
| 6.ლიონი | 9 | 3 | 5 | 1 | 15-9 | 14 |
| 7.მეცი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-7 | 14 |
| 8.მონაკო | 9 | 4 | 2 | 3 | 15-13 | 14 |
| 9.მონპელიე | 9 | 4 | 2 | 3 | 14-13 | 14 |
| 10.ლანსი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-10 | 13 |
| 11.ანჟე | 9 | 4 | 1 | 4 | 10-19 | 13 |
| 12.ბორდო | 8 | 3 | 3 | 3 | 9-9 | 12 |
| 13.სტ.ეტიენი | 9 | 3 | 1 | 5 | 9-13 | 10 |
| 14.ბრესტი | 9 | 3 | 0 | 6 | 12-20 | 9 |
| 15.რეიმსი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-14 | 8 |
| 16.ლორიანი | 9 | 2 | 2 | 5 | 12-15 | 8 |
| 17.ნანტი | 8 | 2 | 2 | 4 | 9-13 | 8 |
| 18.ნიმი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-14 | 8 |
| 19.სტრასბური | 9 | 2 | 0 | 7 | 10-18 | 6 |
| 20.დიჟონი | 9 | 0 | 3 | 6 | 4-18 | 3 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ერაკლესი-უტრეხტი ..................... 4:1
სპარტა-ჰერენვენი ...................... 1:4
ემენი-ფეინოორდი ...................... 2:3
პსვ-დენ ჰააგი ............................ 4:0
ალკმაარი-ვალვაიკი ................... 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

პორტიმორენშე-სანტა კლარა ..... 1:2
ჟილ ვისენტე-გიმარაეში .............. 1:2
სპორტინგი-ტონდელა .................. 4:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ურალი ................................. 1:2
ხიმკი-ზენიტი .............................. 0:2
როტორი-ცსკა ............................. 0:1
ტამბოვი-დინამო ......................... 1:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმარნოკი-რეინჯერსი .............. 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ვოლფსბერგერი ............. 1:3
რაპიდი-ალტახი .......................... 3:1
შტურმი-ლინცერი ........................ 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ანტვერპენი ............ 1:0
სტანდარდი-ოსტენდე .................. 1:0
ბევერენი-გენტი .......................... 1:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

რიზე-ქაისერი ............................. 1:0
ქონია-ბაშაქშეჰირი ..................... 1:2
ბეშიქთაში-მალათია ................... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-რუხი ................................. 0:0
ლვოვი-ვორსკლა ......................... 1:0
ინგულეცი-ზორია ........................ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ჰორსენსი ....................... 1:0
კოპენჰაგენი-ლუნგბიუ ................ 4:2
ოლბორგი-ბრონდბიუ .................. 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მიალბი-ესტერსტუნდი ................. 3:0
სირიუსი-კალმარი ....................... 2:2
ელფსბორგი-ნორჩიოპინგი .......... 2:1
გიოტებორგი-იორებრო ............... 0:1
ფალკენბერგი-დიურგარდენი ...... 3:2
ჰამარბი-ჰაკენი .......................... 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

მიონდალენი-მიოლდე ................. 1:3
კრისტიანსუნდი-ბოდო გლიმდტი ...... 2:3
რუსენბორგი-სტარტი .................. 1:0
სანდერფიორდი-ბრანი ................ 3:3
სტაბეკი-ვიკინგი ........................ 1:1
სტრომგოდსეტი-ვალერენგა ........ 0:2

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბრიტანული ლუდხანა; 2. იუმორისტული ნახატი; 3. მხარე ავსტრიაში; 5. მომღერალი პოეტი მუსლიმურ ქვეყნებში; 6. კინოცენტრი ინდოეთში; 8. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 10. ნახტომი ბალეტში; 12. ღონისძიებათა სისტემა გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების, ბანკების გადასარჩენად; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 16. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 1. სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 9. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 11. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 12. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი; 13. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 17. სევდიანი, ლირიკული ლექსი; 18. მანძილის საზომი ერთეული აშშ-ში; 19. პროფესიონალი შანტაჟისტი, ცილისმწამებელი ძველ საბერძნეთში; 20. აეროპორტი მადრიდში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალერმო; 2. აბული; 3. მოძახილი; 4. დროზერა; 5. შამპანური; 9. აკვანი; 12. ტოსკანა; 14. კურტუა; 15. ჩილე; 17. ჯამნა; 18. ლიდა.

**თარაზულად:** 6. ხარება; 7. მოტოროლა; 8. პეპელა; 10. ცეკვა; 11. როინაშვილი; 13. სკუპჩინა; 16. კოტეჯი; 19. იატაგანი; 20. კაბოშონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წიდა; 2. ძმარი; 3. სპარტა; 5. რაგბი; 6. ნიველირი; 8. პრეფერანსი; 10. ბილაინი; 12. ბონდერი; 14. ცერული; 15. რაპირა; 16. დიანა.

**თარაზულად:** 1. წულაძე; 4. ტრიკონი; 7. გრაცია; 9. ტუნისი; 11. თერაპია; 12. ბუდეშური; 13. ხამონი; 17. იბერია; 18. ანსა; 19. ფრენბურთი; 20. პირამიდა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 ნოემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2327

ევრო — 3.7732

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1896

100 რუსული რუბლი — 4.0776

## ამინდის პროგნოზი 3 ნოემბრისათვის




## ნინი დედალამაზიშვილი გოგონას დედა გახდა



ჯგუფ „მგზავრების“ ყოფილი წევრი, მუსიკოსი ნინი დედალამაზიშვილი გოგონას დედა გახდა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია ნინის დედამ ციცი ფალავანდიშვილმა გაავრცელა:

– ქვეყანას მოევლინა სესილი მარგველაშვილი. ოთხზგის ბებია ვარ. ვულოცავ ნინის და სანდროს.

პ.ს. ნინის გოგონა – სესილი მეორე ქორწინებიდან ეყოლა. მისი მეუღლე სანდრო მარგველაშვილია. 8 წლის ელენე ყიფიანი კი ნინის პირველი ქორწინებიდან ჰყავს.

## „რანინამ“ ფინალისტები გამოავლინა

მუსიკალურმა შოუმ „რანინა“ ფინალისტები გამოავლინა. 10 ნახევარფინალისტიდან პროექტის ფინალში მხოლოდ 5 კონკურსანტი გადავიდა. რჩეულები ქულების მიხედვით გამოვლინდნენ.

„რანინას“ მესამე სეზონის კონკურსანტებმა ოთხი ურთულესი ტური გაიარეს. მათ პირველ ტურში დუეტები შეასრულეს ცნობილ მომღერლებთან ერთად, მეორე ტურში მსოფლიო ჰიტები წარმოადგინეს, მესამე ტურში – ქართული ფოლკლორი, მეოთხე ტურში კი – მსოფლიოს მიუზიკლები.




„რანინას“ ჟიურის მიერ დაწერილი ქულები ოთხივე ტურში დაჯამდა და ფინალისტები გახდნენ სანდრა გადელია 473 ქულით, რატი გელოვანი 473 ქულით, მარიტა ხვედელიძე 470 ქულით, ნია ხინჩიკაშვილი 470 ქულით და შიო კავსაძე 468 ქულით.

ფინალისტებიდან მხოლოდ ერთი კონკურსანტი გახდება გამარჯვებული, რომელიც საქართველოს „საბავშვო ევროვიზიაზე“ წარადგენს.

## „მასტერშეფი“ ნატალია ჩხეიძემ დატოვა

კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ სამზარეულო ნატალია ჩხეიძემ დატოვა.

კონკურსანტებმა ჟიურის მიერ დავალებული ორი კერძი მოამზადეს და ლუკა ნაჭყებიასა და კონსტანტინე თედელურისგან შექება და კრიტიკაც დაიმსახურეს. საუკეთესო 8 კონკურსანტის შეჯიბრს არ ესწრებოდა შეფი ლევან კობიაშვილი, რომელიც უცხოეთში იმყოფებოდა და პროექტში ვიდეოზარის საშუალებით ჩაერთო.



ჟიურის მიერ კერძების დაგემოვნების შემდეგ, გავარდნის კანდიდატებში აღმოჩნდნენ ნატალია, სოლომონი და ირაკლი. ირაკლი ყველაზე ცუდი კერძის ავტორი პირველად გახდა, ამიტომ ჟიურიმ მას შანსი მისცა და პროექტში დააბრუნა. ოქროსწინსაფრიანი სოლომონი გავარდნის კანდიდატის ადგილას პირველად არ მდგარა, თუმცა ის შოუში მაინც დარჩა და ნატალიამ „მასტერშეფის“ სამზარეულო სამუდამოდ დატოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

3 ნოემბრისათვის



**ვერძი** – მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **კურო** – შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. შრომა გიფასდებათ. ბედს არ ემდურით. **ტყუპები** – აგრესიულობა და თავშეუკავებლობა მატერიალურად დაგაზარალებთ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნუ გამოჩნდებით. **კირჩხიბი** – მეგობრებისგან დახმარება გჭირდებათ. თავს ზედმეტად ნუ დაიფასებთ. **ლომი** – ინფორმაციის არასათანადო შეფასება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. იოლად არავის მიენდოთ. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას სიფხიზლე გმართებთ. პატარა შეცდომაც კი სავალალო იქნება. **სასწორი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ახალი იდეების განხორციელება მატერიალურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. ენერგიულობისა და ოპტიმიზმის წყალობით საქმეებს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – ახალგაცნობილ ადამიანებს გულისნადებს ნუ გაუმხელთ. იკვებეთ ჯანსაღად. **თხის რქა** – საყვარელ ადამიანს გულს ნუ ატკენთ. თავქარიანობა და ფუქსავატობა საქმეს გაგიფუჭებთ. **მერწყული** – საქმე დიდი ყურადღებით აკეთეთ. გაითვალისწინეთ გარშემომყოფთა ინტერესებიც. **თევზები** – ოცნების კოშკებს ნუ ააგებთ. რეალური საქმით დაკავდით. ჯანმრთელობას მიხედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ გრძნობ თავს გუშინდელი ქეიფის შემდეგ?

– საშინლად! საკუთარი თავი მეზიზღება!

– მაგაზე არ ინერვიულო, ახლა უკვე ბევრს ეზიზღები.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– როცა ვერ ვიძინებ, იმ ქალებს ვითვლი, რომლებთანაც სექსი მქონია.

– და ცხვრებს რატომ არ ითვლი?

– მასეთი მხოლოდ ერთი იყო.

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი, ჰელოუინ-ფართიზე შენი დაქალები მოვიწვიოთ.

– კი მაგრამ, შენ არ ამბობდი, რომ ისინი საშინელი არიან!

– ჰოდა მაგიტომაც!

•••

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, 10 წელია, დაქორწინებული ვართ და შენ ალერსიანად მხოლოდ მაშინ მეპყრობი, როცა ფული გჭირდება...

– და რა, ეგ არც ისე ხშირად ხდება?

•••

ბიოლოგიის მასწავლებელი ცდილობს, ბავშვებს აუხსნას ალკოჰოლის მავნებლობა. ის იღებს ერთ ჭიაყელას, აგდებს არყით სავსე ჭიქაში და ის იღუპება, შემდეგ იღებს მეორე ჭიას და აგდებს წყლით სავსე ჭიქაში. ჭია ცოცხალი რჩება.

მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

– აბა, ბავშვებო, რა დასკვნა გამოიტანეთ ამ ცდიდან?

– მასწავლებელო, თუ არაყს დავლევთ, ჭიები აღარ გვეყოლება, – უპასუხა გიგიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ბეილი: „გატანილმა გოლმა ბედნიერი გამხადა“



ლონდონის ტოტენჰემის უელსელმა ფორვარდმა გარეტ ბეილმა განაცხადა, ის ბედნიერია იმით, რომ თავისი გუნდის შემადგენლობაში თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცა. ბეილის აზრით, ის მომავალშიც მოახერხებს ტოტენჰემისთვის სარგებლის მოტანას:

– დიდი ხანია, ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ, რადგან ჩემთვის ყოველი გატანილი გოლი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით თუ ის გუნდს გამარჯვებას მოუტანს. ტოტენჰემში სწორედ ამისთვის დავბრუნდი და იმედი მაქვს, რომ მომავალში კიდევ ბევრ გოლს გავიტან.

## ნიკლას ზულეს კორონავირუსი დაუდასტურდა



მიუნხენის ბაიერნის ცენტრალურ მცველს ნიკლას ზულეს კორონავირუსი დაუდასტურდა და ამჟამად ფეხბურთელი თვითიზოლაციაში იმყოფება.

ზულეს ვირუსი მსუბუქ ფორმაში აქვს და ის მალე უნდა გამოჯანმრთელდეს. ბუნებრივია, მომავალ რამდენიმე შეხვედრაში ზულე თავის გუნდს ვერ დაეხმარება და ეს ბაიერნისთვის დანაკლისია. ბაიერნი უახლოეს შეხვედრას ჩემპიონთა ლიგაში 3 ნოემბერს გამართავს.

## პირლო: „რონალდუ ძალიან დაგვეხმარა“



ტურინის იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა ანდრეა პირლომ კრიშტიანო რონალდუს დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა რომ მის გუნდს ეს ძალიან დაეხმარა და მომავალშიც დაეხმარება, რადგან რონალდუ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა:

– კრიშტიანოს გარეშე გვიჭირდა და ამას ობიექტური მიზეზები აქვს, რადგან ის ჩვენი ლიდერია. მიხარია, რომ რონალდუ დაბრუნდა და იმედი მაქვს, რომ ის აღარ დაგვაკლდება.

## ნეიმარი ერთ თვეში დაბრუნდება

პსჟ-ს ბრაზილიელი ფორვარდი ნეიმარი მოედანზე დაახლოებით ერთ თვეში დაბრუნდება. ამის შესახებ პსჟ-ს მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუხელმა ისაუბრა, რომლის თქმით, ნეიმარი თავს კარგად გრძნობს და ცდილობს, რომ მოედანზე მალე დაბრუნდეს:

– ნეიმარს ჯერ კიდევ სჭირდება დრო იმისთვის, რომ გამოჯანმრთელდეს და კონდიციები ბოლომდე აღიდგინოს. სავარაუდოდ, ის თვის ბოლოს დაბრუნდება, თუმცა ჯერჯერობით ზუსტი პროგნოზის გაკეთება არ შემიძლია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## რეალი დიბალას არ ეშვება



ესპანურ მედიაში საუბარი პაულო დიბალასთან დაკავშირებით არ წყდება. უკანასკნელი ცნობების თანახმად, მადრიდის რეალისთვის არგენტინელი შემტევი პრიორიტეტულ ტრანსფერად სახელდება.

პარალელურად, ბიანკონერის მმართველების გადაწყვეტილებებით, კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხი მომავალ წლამდე გადაიდო. ამის მიზეზი ჯერ არ სახელდება, თუმცა ფაქტია, რომ მხარეებს შორის ბოლო პერიოდში იდეალური ურთიერთობა აღარ სუფევს.

მადრიდელები კი, თავის მხრივ მზადყოფნას გამოთქვამენ, დიბალას სანაცვლოდ ედენ აზარიც კი დათმონ.

აქამდე სახელდება ისკო ალკორკონის სახელი, თუმცა ტურინელებისთვის მისი პერსონა დღეისათვის ფინანსური კუთხით მისაღები არ არის.

## ბარსელონა კრიზისშია

ბარსელონაში ლიონელ მესის დარჩენითა და ხოსეპ მარია ბართომეუს გადადგომით პრობლემები არ მოგვარებულა. კატალონიური გრანდი ძალიან რთულ მდგომარეობაშია – როგორც სპორტული, განსაკუთრებით კი ფინანსური თვალსაზრისით.




ბართომეუს გადადგომა ბარსას თითქმის ყველა გულშემატკივარს გაუხარდა, მაგრამ მან მხოლოდ ქაოსი დატოვა. საქმე ისაა, რომ ბარსელონას ძალიან სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, კორონაკრიზისმა კი გაკოტრების საფრთხის წინაშეც დააყენა.

ესპანური მედიის ინფორმაციით, ბარსამ გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად სახელფასო ფონდიდან 190 მილიონი ევრო უნდა დაზოგოს. გამოდის, რომ კლუბის გადარჩენა ახლა მხოლოდ ფეხბურთელებს შეუძლიათ. ესპანური მედიის ინფორმაციით, მათ აგენტებთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, შეთანხმება კი 5 ნოემბრამდეა აუცილებელი. ბევრი დრო არ რჩება.

ოფიციალურად დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბარსელონას ვალი 488 მილიონ ევროს აღწევს. როგორც ირკვევა, ასეთი ვითარება დიდი ხნის განმავლობაში იკვეთებოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობაში ამაზე რეაქცია არავის ჰქონია. ესპანური მედია თამამად საუბრობს კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდ კრიზისზე. ჯერჯერობით, 100 პროცენტით არ არის გარანტირებული კლუბის არსებობაც.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 2. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ქვიანი ნიადაგი; 5. ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ბრალდებულის დამცველი სასამართლოში; 12. უძველესი ქართული ხალხური თამაში-წარმოდგენა; 14. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში; 15. პოლონეთის პრეზიდენტი; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. რძის პროდუქტი.

**თარაზულად:** 6. მიქელანჯელოს ქანდაკება; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი; 8. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 10. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. სახარატო ჩარხის მთავარი მბრუნავი ლილვი; 16. ესპანური ღვინო; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. სმენის განსავითარებელი მუსიკალური სავარჯიშო მუსიკაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

